ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 6 თებერვალი, 2017 №30 (7265) ფასი: 50 თეთრი

## ბათუმში შაჰინის სკოლა-ლიცეუმს ავტორიზაცია გაუუქმდა

გვ.5



3 თებერვლიდან

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი



# რა საიდუმლო ინფორმაციები ჩაუვარდა ხელში რუსეთს



ზვიად კუპრავა: გვ.2

„ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა შეგნებულად სუსტდება“




გვ.3

## ნიკა გვარამიამ მამუკა მდინარაძეს გამყიდველი ადვოკატი უწოდა

მამუკა მდინარაძე: „მოთმინება, რომელიც დღეს გამოვამჟღავნე, ჩემთვის ძალიან რთული იყო“

ლაშა ჩხარტიშვილი: „კონცერტებზე მილიონების ხარჯვას სჯობს, „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრისგან დაზარალებულებს დაეხმარონ“ გვ.4



## „ხანძრები ბაზრობებზე ძალიან საეჭვო სახეს იღებს“



## შოთა მალაშხია: „ამდენს ხალხი ველარ მოითმენს“

გვ.3

„ჩვენ 1992 წელში დაგვაბრუნეს“



## ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტის ვეტო ამბობს, რომ სასამართლო დღესვე გახდეს დამოუკიდებელი“

გვ.7

ISSN 1987-9385

## „ოცნების“ მერობის კანდიდატი, გვ.2 შესაძლოა, ისევ ნარმანია იყოს?



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რა საიდუმლო ინფორმაციები ჩაუვარდა ხელში რუსეთს

## ზვიად კუპრავა: „ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა შეგნებულად სუსტდება“

შორენა მარსაგიშვილი

იცავს თუ არა ხელისუფლება თავის მოქალაქეებს, რატომ უკარგავენ პოლიციასა და სამხედროებს მოტივაციას, რა საიდუმლო დოკუმენტები აღმოჩნდა რუსეთის სპეცსამსახურების ხელში? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამართალდამცავთა რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად კუპრავა ესაუბრება.

***– რუსების მხრიდან ქართველ სამხედროებზე გამოცხადებული ძებნა კვლავ აქტუალური თემაა. ხელისუფლება ამბობს, რომ ყველა მათგანის უსაფრთხოება დაცულია. თქვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, რა ხდება ამ მიმართულებით? ადვოკატი ლია მუხაშავრია ამბობს, რომ ქართული მხარე რუსეთთან ადამიანებით ვაჭრობს, აწვდის რა მათ სათანადო ინფორმაციას.***

– ამ საკითხზე ხმაური მას შემდეგ ატყდა, რაც გია ცერცვაძის საქმე გახმაურდა. რეალურად კი ქართველ სამხედროებზე რუსებს ინფორმაცია გაცილებით ადრე გადაეცათ. ინფორმაცია ცერცვაძეზეც რუსებს ხელისუფლებამ გადასცა. იმისთვის, რომ ინტერპოლმა ამა თუ იმ პირზე ძებნა გამოაცხადოს, ის ყველა მონაცემს უნდა ფლობდეს. ასეთი მონაცემები მხოლოდ ქართულ მხარეს ჰქონდა. მათ რუსეთს გადასცეს, რუსეთმა კი – ინტერპოლს.

***– თქვენი აზრით, რით დაიმსახურა ცერცვაძემ რუსეთის ყურადღება? იმ ბრალდების, რომ მან 2003 წელს რუსეთის ტერიტორიაზე რაღაც დანაშაული ჩაიდინა, თითქმის არავის სჯერა.***

– ეს ბრალდება აბსურდულია. ირკვევა, რომ იმ პერიოდში მას საქართველო-რუსეთის საზღვარი არც კი გადაუკვეთია. ცერცვაძის მიმართ ინტერესი რუსეთს სხვა რამემ გაუჩინა. ეს ადამიანი წარმოშობით სოხუმიდან არის. ის აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე საომარ მოქმედებებში, აქტიურად მონაწილეობდა აგვისტოს ომშიც. ის გამორჩეული სამხედრო იყო და საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა. ის სადაზვერვო სამსახურში იყო და ძალიან ბევრ საიდუმლო ინფორმაციას ფლობს. რუსეთისთვის საინტერესო სწორედ ეს ინფორმაციებია და არა – ის მოგონილი ბრალდებები.

ბოლო პერიოდში ის უკრაინაშიც იბრძოდა, იქაც მაღალი პოზიციები ეკავა და ამ მიმართულებითაც ბევრი რამე იცის. ეს მისი პერსონის მიმართ რუსეთის დაინტერესებას კიდევ უფრო ზრდის. რუსების მესმის, რომ ისინი ყველა ხერხით ცდილობენ მათთვის საინტერესო პიროვნების ხელში ჩაგდებას. ჩემთვის გასაკვირია ის, თუ როგორ მოიქცა საქართველოს ხელისუფლება.



ამ ადამიანზე რუსეთის მოთხოვნით ინტერპოლმა ისე გამოაცხადა ძებნა, რომ ის საქმის კურსში არ იყო. იანვარში, როდესაც საქართველოდან უკრაინაში მიემგზავრებოდა, მან გადაკვეთა საზღვარი და, რადგან ის ინტერპოლის მიერ იძებნებოდა, ქართველი მესაზღვრეებს უნდა დაეკავებინათ. მათ ის არ დააკავეს და ესეც, ალბათ, რაღაც გეგმის ნაწილი იყო. მის დაკავებას პროტესტი მოჰყვა და ხელისუფლებამ უკან დაიხია.

***– ეს ნიშნავს თუ არა იმას, რომ მომავალში მსგავსი რამე არ მოხდება?***

– ამის გარანტია არ არსებობს. ცერცვაძის საქმის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ რუსებს პოლკოვნიკ დავით მაყიშვილზეც აქვთ გამოცხადებული ძებნა. აგვისტოს ომის დროს მასაც მაღალი თანამდებობა ეკავა და ისიც ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობს.

საზოგადოების პროტესტის შემდეგ აღარ მგონია, რომ ხელისუფლებამ კიდევ გადასცეს რუსეთს ვინმეზე პირადი ინფორმაციები, მაგრამ, შესაძლოა, რუსეთს დამატებითი ინფორმაციების გადაცემა არც კი დასჭირდეს. მათ ხელში ისედაც ბევრი საიდუმლო ინფორმაციაა თავმოყრილი.

ცოტა ხნის წინ საქართველოდან რუსეთში ქართული სპეცსამსახურების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გაიქცა და თან უამრავი საიდუმლო მასალა წაიღო. ჩვენ არც კი ვიცით, რა ინფორმაციას ფლობს რუსეთი საქართველოს შესახებ.

***– ზემოთ თქვით, რომ ცერცვაძე დაზვერვაში მუშაობდა. შესაბამისად, ის ბევრ საიდუმლო ინფორმაციებს ფლობს. რამდენად რეკომენდებულია ასეთი ადამიანების სამსახურიდან გაშვება?***

– ადამიანს თუ სამსახურში დარჩენა არ უნდა, მას ძალით ვერავინ დააკავებს. ამის უფლება არცერთ სტრუქტურას არა აქვს. რაც შეეხება საიდუმლო ინფორმაციის შენახვას, ეს კანონით რეგულირდება. ადამიანებს, რომლებსაც საიდუმლო ინფორმაციაზე მიუწვდებათ ხელი, სამსახურიდან წასვლის შემდეგ ხელწერილს აწერინებენ, რომ მათ ეს საიდუმლო არ გათქვან. ზოგ ინფორმაციას 5-წლიანი ხანდაზმულობა აქვს, ზოგს – 10-წლიანი, ზოგიერთი ინფორმაციის გასაჯაროება კი საერთოდ არ შეიძლება.

საიდუმლო ინფორმაციების მატარებელი ადამიანის სამსახურიდან გაშვება შეიძლება, მაგრამ სახელმწიფომ მისი უსაფრთხოება უნდა დაცვას, ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის. ცერცვაძესთან დაკავშირებით სხვა ქვეყანასაც რომ გამოეცხადებინა ძებნა, მისთვისაც არ უნდა გადაეცათ მისი მონაცემები, რუსეთისთვის – მით უმეტეს.

დარწმუნებული ვარ, რუსებს ყველაზე მეტად ცერცვაძის ხელთ არსებული ინფორმაციების მოპოვება აინტერესებდათ. მოსკოვისთვის გადაცემის შემთხვევაში რუსები მას აწამებდნენ. ვერცერთ ადამიანს ვერ მოსთხოვ, რომ წამებას გაუძლოს და, შესაძლოა, მას ეს ინფორმაცია გაემჟღავნებინა.

სულ ახლახან თავდაცვის სამინისტროდან რამდენიმე ათასი ადამიანი გაათავისუფლეს, გააუქმეს გორის ბრიგადა, არადა, ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული მიმართულებაა. თავდაცვის ხარჯზე ფულის დაზოგვა არ შეიძლება.

***– თავდაცვა ქვეყნის ეკონომიკაზეა მიბმული და, როცა ეკონომიკა სუსტია, მაშინ ვერც თავდაცვა იქნება ძლიერი.***

– თუ ქვეყანა სათანადოდ არ იქნება დაცული, იქ ვერც ეკონომიკა განვითარდება. მთელი რუსეთის სამეზობლო, მათ შორის ნატოს წევრი ქვეყნები გადასული არიან თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებაზე, ჩვენ კი გორის ბრიგადა გავაუქმეთ და, როგორც ამბობენ, პროცესი ისევ გაგრძელდება. როცა მეზობლად რუსეთი გყავს, ამის გაკეთება არ შეიძლება.

ამის საპასუხოდ შეიძლება, ვინმემ მითხრას, რომ ჩვენი არმია მოწინააღმდეგეს რიცხოვნობით მაინც ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას. მათ ჩვენ ვერც რიცხოვნობითა და ვერც შეიარაღებით გავუწევთ კონკურენციას, მაგრამ ეს იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ თავდაცვა შევასუსტოთ.

რუსებს ვერც 2008 წელს გავუწევდით წინააღმდეგობას, მაგრამ რაღაც პერიოდი ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს რუსების შეკავება. ეს საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ პროცესებში საერთაშორისო დიპლომატია ჩაგვერთო. მსოფლიო ლიდერებთან დაკავშირება მაშინ მარტივი არ იყო. ზაფხულის პერიოდში ყველა შვებულებაშია. ამას დაემთხვა ოლიმპიადა პეკინში. ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა შეძლეს რუსების დროებით შეკავება და ამის წყალობით თბილისში 5 ქვეყნის პრეზიდენტი ჩამოვიდა. მაშინ რუსეთი მათმა აქტიურობამ შეაჩერა.

ძალოვან სტრუქტურებში ეს პროცესი თუ გაგრძელდა, მეეჭვება, მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა ვინმემ შეძლოს.

რამდენიმე წლის წინ საქართველოში სამხედრო წარმოება დაიწყო. დელტამ დაიწყო სხვადასხვა სამხედრო ტექნიკის გამოშვება. ჩვენ შეგვეძლო, ქართული სამხედრო წარმოება აგვეღორძინებინა, მაგრამ მოხდა პირიქით. ვერავინ დამისახელებს, რა პროდუქცია გამოუშვა ბოლოს დელტამ.

ეს ყველაფერი მაფიქრებინებს, რომ თავდაცვისუნარიანობის შესუსტება შეგნებულად მიმდინარეობს. ყველაფერს აკეთებენ, რომ ადამიანებს სამშობლოს დაცვის მოტივაცია დაუკარგონ. როდესაც მინისტრი გამოდის და თანამშრომლებს ბალასტს უწოდებს, იქ მოტივაციაზე აღარ არის საუბარი.

***– ბალასტი თანამშრომლებს შს მინისტრმა არ უწოდა? მან თქვა, რომ სისტემა ბალასტისგან უნდა გათავისუფლდეს.***

– სისტემა ბალასტისგან მართლაც უნდა გათავისუფლდეს, მაგრამ მინისტრმა უნდა დააკონკრეტოს, ვისზეა საუბარი. ეს განცხადება, შესაძლოა, ყველამ თავის თავზე მიიღოს. მათ არც სამშობლოს დაცვის სურვილი ექნებათ და აღარც – მოქალაქეების. დღეს ჩვენი პოლიცია ბანკებისა და მაღაზიების დარაჯად გადაიქცა. ბევრ ადგილას მინახავს, პოლიცია როგორ დარაჯობს ამა თუ იმ ობიექტს. ისინი ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ და თავიანთი სიცოცხლის ხარჯზე სხვის უსაფრთხოებას იცავენ.

ვრცელდება ინფორმაციები იმის შესახებ, რომ პოლიციიდანაც იგეგმება ხალხის გაშვება. ეს კიდევ ერთხელ მაფიქრებინებს, რომ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას შეგნებულად ასუსტებენ.

# „ოცნების“ მერობის კანდიდატი, შესაძლოა, ისევ ნარმანია იყოს?

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დღეების მთავარი თემა და, შესაბამისად, სკანდალიც მოსამართლეებს, უფრო კონკრეტულად, რუსთავი 2-ს უკავშირდება, ნიუპოსტისთვის სამთავრობო წრეებიდან არანაკლებ მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხდება ცნობილი და ეს დეტალები ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს შეეხება.

ზოგადად, წლევანდელი წელი, როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, „ოცნებისთვის“ რთული იქნება, რადგან მმართველ გუნდს, ლარის გაუფასურებისა და სხვა ათასი პრობლემის გამო, თვითმმართველობის ორგანოებში უმრავლესობის მოპოვება გაუჭირდება.

ამასთან, როგორც ნიუპოსტს უხსნიან, ვითარებას ისიც ართულებს, რომ ერთიანი აზრი იგივე თბილისის მერის კანდიდატთან დაკავშირებით თავად მმართველ გუნდშიც არ არსებობს.

რამდენიმე ხნის წინ მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ოცნებამ“ დავით ნარმანიას შემცვლელად, შესაძლოა, კახა კალაძე ან მამუკა ხაზარაძე დაასახელოს.

კულუარებში ერთი პერიოდი ბექა ოდიშარიას კანდიდატურაც სახელდებოდა, რომელიც „ოცნების“ მაჟორიტარია კრწანისიდან და რომელიც, როგორც ამბობენ, პირდაპირ გიორგი კვირიკაშვილის კადრია.

იმ უახლესი ინფორმაციების მიხედვით, რომლებიც ნიუპოსტისთვის 4 თებერვალს, საღამოს გახდა ცნობილი, მმართველი გუნდის თბილისის მერობის კანდიდატი, შესაძლოა, ისევ დავით ნარმანია იყოს.

– ახლა თავს ვერ დავდებ, რომ ჩემი მონაცემები უტყუარია, მაგრამ, ის კი ზუსტად ვიცი, რომ ბიძინა ივანიშვილი მამუკა ხაზარაძეს, რომელთანაც მეტ-ნაკლებად კარგი ურთიერთობა აქვს, თბილისის მერად არ გაამწესებს. ზოგადად, მდიდარ ადამიანებს ერთმანეთი არ უყვართ ხოლმე და ამ შემთხვევაშიც, ალბათ, სწორედ ეს ფაქტორი იმუშავებს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ხაზარაძე მერობის კანდიდატად სხვა რომელიმე პარტიამ დაასახელოს.

რაც შეეხება კალაძეს, ენერგეტიკის მინისტრს, ალბათ, უნდა, რომ მერი გახდეს და, როგორც ვიცი, გაზპრომთან მოლაპარაკებაც ავტონომიურ რეჟიმში სწორედ ამ მიზნით აწარმოა, ანუ იფიქრა, რომ თუ გაზპრომის პირობებს მიიღებდა, ამით ბიძინა ივანიშვილის გულს საბოლოოდ მოიგებდა და მერობა გარანტირებული ექნებოდა, მაგრამ იმ ადამიანისგან, რომელსაც „ოცნების“ „ვერხუშკასთან“ ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს, ვიცი, რომ მომავალი მერის ვინაობაზე მმართველი პარტია ჯერ არ ჩამოყალიბებულა.

უფრო მეტიც, ნარმანიამ თურმე „იქ, სადაც ჯერ არს“, იკითხა კიდეც, თუ ჩემი კანდიდატურა აღარ უნდა



დააყენოთ, უმჯობესია, ახლავე მითხრათო, მაგრამ გაურკვეველი პასუხი მიიღო.

ისე, როგორც მე ვიცი, ნარმანია მერობაზე არც თავის დროზე გიჟდებოდა და, როცა დაუძახეს და უთხრეს, რომ ინფრასტრუქტურის მინისტრობა უნდა დაეტოვებინა და მერის საარჩევნო კამპანიაში ჩართულიყო, იკითხა, მე რომ თბილისელი არ ვარო? ამაზე უპასუხეს, აქ თბილისელი არავინ ვართ და ეგ ილუზია, რომ თბილისი მხოლოდ თბილისელებისაა, უნდა დავამსხვრიოთო, – ყვება „ოცნების“ კულუარებს ინკოგნიტო პიროვნება.

ნიუპოსტის წყარო იმასაც ამბობს, რომ მართალია, მერიაში და, ზოგადად, დედაქალაქის სტრუქტურებში ნარმანიას ბევრი ახლობელი და ნაცნობი დასაქმდა, მაგრამ ნარმანია მაინც ცდილობს, დამოუკიდებელი მოთამაშის იმიჯი შეიქმნას.

– იმის თქმა მინდა, რომ დავითი „ოცნების“ არცერთი კლანის წევრი არ არის და ვინმეს ინტერესებს არ ატარებს. ჩემი დაკვირვებით, ის პირდაპირ ივანიშვილზეა „მიბმული“, თუმცა ვერ გეტყვით, რომ ყოფილ პრემიერთან ხშირი და ინტენსიური კონტაქტი აქვს.

ივანიშვილს თბილისის მერად სწორედ ნარმანიას მსგავსი პიროვნება სჭირდება, რომელიც არც თავის კლანს შექმნის და არც რომელიმე სახელისუფლებო კლანის წევრი გახდება, ანუ მერი ისეთი უნდა იყოს, რომელსაც ივანიშვილის მიმართ მუდმივი მადლიერების განცდა ექნება და ყველას და ყველაფერს იმ ჭრილში განიხილავს, მისი ნაბიჯი „მთავარს“ მოეწონება თუ არა, – აღნიშნავს ნიუპოსტის რესპონდენტი.

ის არ გამორიცხავს, რომ თვითმმართველობის არჩევნებმა, შესაძლოა, მმართველ ძალაში დაპირისპირების პროვოცირება მოახდინოს, თუმცა ამ თემის გაშლისგან, ჩვენი თხოვნის მიუხედავად, ჯერჯერობით თავი შეიკავა.

◆ ◆ ◆

რაც შეეხება ოპოზიციას, არსებული კულუარული ინფორმაციით, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობს თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია მიიღებს, მათ შორის, თავისუფალი დემოკრატებიც, რომელიც 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ლიდერებმა დატოვეს.

ზოგი მიიჩნევს, რომ ნაციონალებისგან წასულების მერობის კანდიდატი, შეიძლება, გიგი უგულავა იყოს, მაგრამ უკვე იმის შესახებაც ითქვა, რომ ნაციონალები, მათგან წასულები, „გირჩი“ და ვაშაძის პარტია ადგილობრივ არჩევნებზე, შეიძლება, ერთად გამოვიდნენ.

ჯერ უცნობია, თბილისის მერობის კანდიდატი „პატრიოტთა ალიანსს“ ეყოლება თუ არა, თუმცა, 2013 წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, „პატრიოტები“ თბილისის თავზე თავიანთი დროშის აფრიალებას შეეცდებიან, მაგრამ ირმა ინაშვილი მერობის კანდიდატი რომ აღარ იქნება, ეს ზუსტად არის ცნობილი – ის პარლამენტის ვიცესპიკერია.

ბურჯანაძის პარტიიდან თავის დროზე მერობის სურვილი, როგორც ნიუპოსტს უთხრეს, გიგლა ბარამიძეს ჰქონდა, მაგრამ ამ ეტაპზე იმის თქმა, რომ შევარდნაძის მთავრობის გუბერნატორ ბარამიძეს თბილისის მერობა ისევ უნდა თუ არა, ძნელია.

ზოგადად, პარტიები ამ საკითხებზე ჩამოყალიბებას გაზაფხულიდან დაიწყებენ – სწორედ მაშინ გააქტიურდება არაოფიციალური საარჩევნო

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შოთა მალაშხია: „ამდენს ხალხი ვეღარ მოითმენს“

## „ჩვენ 1992 წელში დაგვაბრუნეს“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ შოთა მალაშხიას

***– აცხადებდით, რომ ეს პარლამენტი არ ასახავს მოსახლეობის განწყობებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პროცესები ქუჩაში გამოვა. ამ დღეებში პოლიტიკური პროცესების გარეთ განვითარებაზე გაკეთდა განცხადებები იმის გამოც, რომ „ქართულ ოცნებას“ უნდა, პარტიებს ბლოკების შექმნა აუკრძალოს.***

– პროცესები აუცილებლად გამოვა ქუჩაში და ხალხი თვითონ ჩაერთვება პრობლემების მოგვარებაში. პარტიების ბლოკების საკითხი სხვა მოვლენების გვერდით ერთ ჯაჭვში უნდა განვიხილოთ. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მოქმედებებითა თუ განზრახვებით საკმაოდ დაამძიმა რეალობა და, შესაბამისად, ხალხის მდგომარეობა.

***– რომელი მოვლენები გაქვთ მხედველობაში?***

– ბოლო დროს მძიმე ფაქტები მოხდა – გაზპრომთან გაფორმებული გასაიდუმლოებული ხელშეკრულებით დაწყებული, ჩვენი სამხედროების მონაცემების რუსეთისთვის გადაცემითა და სამხედრო მოსამსახურეების გაშვებით დამთავრებული. ამას უკავშირდება 2008 წლის ომის თემა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ადრეც გაუკეთებიათ განცხადებები იმის შესახებ, თითქოს ეს ომი საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო. თემა გრძელდება და ყველაფერი ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ყველაფერი კეთდება რუსეთის სასარგებლოდ. გვაქვს საფუძველი ვთქვათ, რომ გაზპრომის მეწილე, რომელიც მართავს ქვეყანას, ასრულებს რუსეთის დავალებებს. ამას ემატება დანგრეული ეკონომიკა, ლარის კურსის ვარდნა და ინვესტიციების არშემოსვლა. ამდენს ხალხი ვეღარ მოითმენს, მით უმეტეს, იმ პირობებში, როცა პარლამენტი არ გამოხატავს მოსახლეობის განწყობებს. იქ ხალხის წარმომადგენლები არ სხედან, არჩევნები გაყალბებულია, ამიტომ მოსახლეობა გამოვა გარეთ.

***– პარლამენტში გაკეთებულ მწვავე განცხადებებს ხალხისთვის მნიშვნელობა არა აქვს?***

– ესაა ქარიშხალი ჭიქაში და მეტი არაფერი. პარლამენტში საზოგადოების აზრი გამოხატული არ არის. „ქართულმა ოცნებამ“ თვითონ დაიმძიმა მდგომარეობა იმით, რომ ბლოკების აკრძალვის იდეას აყენებს.

***– რა მიზანი აქვს ბლოკების აკრძალვას?***

– „ქართულ ოცნებაში“ იციან, რომ ადამიანების ხმებს ვეღარ მიიღებენ. ამიტომ მოიგონეს ახალი ხერხი – პარტიების გაერთიანების აკრძალვა. უნდათ, მომავალი არჩევნები ისევ გააყალბონ, თან სხვებს გაერთიანების საშუალება არ მისცენ. ესაა ხელისუფლების გათვლა. მოსახლეობას სულ სხვა რამ უნდა.

***– რა მთავარი მოთხოვნები აქვს მოსახლეობას?***

– ხალხს სურს მშვიდობიან, არაკორუმპირებულ და არაკრიმინალურ გარემოში ცხოვრება, დასაქმება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ის, რაც „ბავშვთა სამყაროში“ მოხდა, ადასტურებს, რომ 1992 წელში დაგვაბრუნეს. ეს ერთადერთი მოწყობილი ხანძარი არ არის. ხელოვნური ხანძრების რაოდენობა საგანგაშოდ გაიზარდა. მეორდება 1992-2002 წლების მოვლენები, მაშინდელი კრიმინალური გარჩევები და გადანაწილებები. მაშინ გადასანაწილებელი ბევრი არაფერი იყო. დღეს ბიუჯეტიც 10-მილიონიანია და ქონებაც მეტია გასაყოფი. ხელისუფლება ხალხს სამართლიანობის აღდგენას ჰპირდებოდა და ჩვენ ამ გარჩევების აღდგენას მოვესწარით.

***– არსებობს აზრი, რომ ამ პარლამენტის უმრავლესობის ადგილები ძირითადად ფულიანმა პირებმა დაიკავეს, რომლებმაც განდევნეს პოლიტიკოსები.***



**„ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია პარლამენტს დღემდე არ შეუქმნია“**

– პოლიტიკოსები არც მანამდე იყვნენ. სიახლე ის არის, რომ ამ პარლამენტში უფრო მდიდრები, კორუმპირებულები და დანაშაულზე ორიენტირებულები მოვიდნენ.

***– ამ დღეებში სხვადასხვა ჯგუფის რამდენიმე წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მალე საქართველოში ახალი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყება.***

– ალბათ, ისინიც ფიქრობენ, რომ ხალხი ამდენს ვეღარ მოითმენს. რას დავარქმევთ ამ გამოსვლებს – ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ნაციონალურს თუ ქრისტიან-კონსერვატიულის, ამას მნიშვნელობა არა აქვს. 2007 წელს ეკონომიკურმა ზრდამ 12% შეადგინა. ეს მაჩვენებელი ჯამურადაც კი არ ყოფილა ბოლო 4 წლის განმავლობაში. ეკონომიკაში ზრდა, ფაქტობრივად, არ არის. ხალხი გაღატაკდა. ხელისუფლებაში კონფლიქტები საერთოდ აღარ ახსოვთ. ამ პარლამენტმა ნოემბერში დაიწყო მუშაობა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია დღემდე არ შეუქმნია.

***– თქვენ დროს ამ კომისიას მაშინვე ამტკიცებდნენ?***

– პარლამენტის შეკრებიდან, უარეს შემთხვევაში, 2 კვირის ვადაში შექმნილი იყო ხოლმე ეს კომისია. არ გამოვრიცხავ, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისია საერთოდ არ შექმნან. არადა, ის აუცილებელია იმისათვის, რომ იყოს ხმაურიანი რეაგირება საოკუპაციო ზოლის გადმოწევასა და სხვა უკანონობებზე, თუნდაც დევნილების მიმართ არასწორ გადაწყვეტილებებზე.

***– დევნილების ნაწილისათვის დევნილთა შემწეობის მოხსნის ინიციატივას პროტესტი მოჰყვა.***

– 45-ლარიანი დახმარება სიმბოლური თანხაა, მაგრამ მისი გაუქმება არ შეიძლება. ვილაცისთვის შემწეობის გაზრდა იმის ხარჯზე, რომ სხვა დევნილს პერსპექტივა მოუსპო, გაუმართლებელია. ჯობია, არავის გაუზარდო ეს შემწეობა, ვიდრე ვიღაცას მოუხსნა.

***– ამით კითხვის ქვეშ დადგება დევნილის სტატუსი?***

– რა თქმა უნდა. თუ არ იქნებიან დევნილები, გამოდის, რომ აფხაზეთიდან არავინ გამოუდევნიათ, ყველა ომი ჩვენ დაგვიწყია და ყველაფერში დამნაშავეები ვყოფილვართ. ადრე აფხაზეთში მაღაზია „ბენეტონი“ გაიხსნა, რასაც დიდი პროტესტი მოჰყვა. ვინც ამას აპროტესტებდა, აღარსად ჩანს. ახლანდელ ხელისუფლებას კი რეაგირება არა აქვს საკუთარი მოქალაქეების გატაცებასა და საოკუპაციო ზოლის გადმოწევაზე.

# ნიკა გვარამიამ მამუკა მდინარაძეს გამყიდველი ადვოკატი უწოდა

**4 თებერვალს, საღამოს, საპარლამენტო უმრავლესობის წევრ მამუკა მდინარაძესა და ტელეკომპანია რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას შორის პირდაპირ ეთერში კამათი მოხდა.**

მამუკა მდინარაძე მოსამართლეების შესახებ საუბრობდა. დეპუტატმა საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, მამუკა ახვლედიანის მიერ ქონების შეძენის შესახებ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციაზე გაამახვილა ყურადღება.

– გუშინ გახდა ცნობილი ამბავი, რომ მოსამართლეს, რომელსაც ნიკა გვარამია ესაუბრებოდა და იქ მილიონებზე იყო საუბარი, მართლაც დაუდასტურდა მილიონიანი ქონებისა თუ აქტივების შეძენის ფაქტი, – განაცხადა მამუკა მდინარაძემ.

აღნიშნულის შემდეგ ეთერში ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია ჩაერთო.

– თქვენ იყავით კლასიკური გამყიდველი ადვოკატი, რომელიც თანამშრომლობდა სახელმწიფოსთან მთელი 4 წლის განმავლობაში. ფულს იღებდით ამაში კლიენტებისგან და სახელმწიფოსგან, ჩვეულებრივ სუსის აგენტი იყავით, – მიმართა ნიკა გვარამიამ მდინარაძეს და დასძინა, რომ მდინარაძეს ეს დაუფასდა და გახდა „ქართული ოცნების“ დეპუტატი.



კამათი პირდაპირ ეთერში

ნიკა გვარამიას შეფასებით, მამუკა მდინარაძე არც ადვოკატად ვარგა და არც – პოლიტიკოსად.

საპასუხოდ მამუკა მდინარაძემ ნიკა გვარამიას უთხრა, რომ ქართველი კაცის თავმოყვარეობასთან ასე შეხება არ შეიძლება.

– ვცდილობ მაქსიმალურად, რომ მაყურებელს პატივი ვცე და შეურაცხყოფაზე არ გადავიდე. თუ შეიძლება, როცა სიმართლეს მოისმენთ, ასეთ გამოხდომებს თავი დაანებეთ, – უთხრა მამუკა მდინარაძემ ნიკა გვარამიას.

### მამუკა მდინარაძე: „მოთმინება, რომელიც დღეს გამოვამჟღავნე, ჩემთვის ძალიან რთული იყო“

– რა უნდა მამხილოთ, თქვენ ორუჯრედიანი ხართ, ორჯერ ორი არ გესმით იურისპრუდენციაში, თქვენ რა უნდა მამხილოთ? – ასეთი იყო გვარამიას პასუხი.

ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა მამუკა მდინარაძეს რამდენჯერმე მოუწოდა, რომ თუ არ მოსწონდა, ეთერი დაეტოვებინა.

◆ ◆ ◆

ტელეკომპანიის დირექტორი აცხადებს, რომ ჩანაწერებში მამუკა ახვლედიანთან საუბარი არის დამონტაჟებული და აღნიშნული ჩვენება პროკურატურას მისცა. ნიკა გვარამია ამბობს, რომ მამუკა ახვლედიანის საქმეში არავითარი მტკიცებულება არ არსებობს.

როგორც მდინარაძემ განაცხადა, „აღნიშნული გამოხდომა“ იყო იმის დადასტურება, რომ სიმართლე ძალიან მწარეა.

– ჩვენ ვიცით წარსულის გამოცდილება ბატონი გვარამიასი, მისი პოლიტიკური გუნდის, – აღნიშნა მდინარაძემ.

დეპუტატის განმარტებით, რაც შეეხება მის გამოცდილებას და იმას, თუ როგორი ადვოკატი იყო, ეს ბევრმა იცის და ამიტომ ამაზე პასუხს არ გასცემს.

– ამ ქვეყანაში სასამართლო იქნება დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და რაც არ უნდა შეტევები განახორციელონ, რაც არ უნდა რთული იყოს ჩემთვის ამ ეთერში ყოფნა და ასე საუბარი, მაინც შევეცდები, რომ ამ მოთმინებით, რომელიც დღეს გამოვამჟღავნე, რაც ჩემთვის ძალიან რთული იყო, ჩვენი სამშობლოს დემოკრატიას ასეთმა ადამიანებმა ჩრდილი არ მიაყენონ, – განაცხადა მდინარაძემ.

მანვე დასძინა, რომ ის ნიკა გვარამიასაც დაიცავს, თუ დასჭირდება, რადგან 11 წლის განმავლობაში უფლებადამცველი იყო.

# თეა წულუკიანი: „უჩა ნანუაშვილისთვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ“

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილისთვის ბოდიშის მოხდას არ აპირებს.

როგორც წულუკიანმა განმარტა, ის ბოდიშს არ უხდის ადამიანებს, რომლებიც საზღვარგარეთ საქართველოს წარუმატებლობისთვის მუშაობენ.

– მე არ ვუხდი და ქართველები არ უხდიან ბოდიშს იმ ქართველებს, რომლებიც საქართველოს წარუმატებლობისთვის მუშაობენ საზღვარგარეთ. ბატონ უჩას ქალბატონმა ანა ნაცვლიშვილმა გასცა პასუხი, როდესაც მან დაადასტურა, რომ სამივენი – ხატიაშვილიც, ომბუდსმენიცა და თავად „საიაც“ მუშაობდნენ ამ სიის საწინააღმდეგოდ სტრასბურში.

ამიტომ აქ საბოდიშოც არაფერია, პირიქით, მას მოუწევს, საქართველოს მოსახლეობას მოუხადოს ბოდიში, რომ ქვეყნის წინააღმდეგ იმუშავა, – აღნიშნა მინისტრმა.





◆ ◆ ◆

შეგახსენებთ, რომ ევროსასამართლოს მოსამართლეებად საქართველოდან წარდგენილი კანდიდატების სიის ჩავარდნაში თეა წულუკიანმა ნაციონალური მოძრაობა, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი დაადანაშაულა.

მინისტრის თქმით, ეს ადამიანები სტრასბურში წარდგენილი კანდიდატების საწინააღმდეგოდ მუშაობდნენ.

საპასუხოდ უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, რომ წულუკიანმა ან მტკიცებულებები უნდა წარადგინოს, ან მას ბოდიში მოუხადოს.

**მედიანიუსი**

# „ოცნების“ მერობის კანდიდატი, შესაძლოა, ისევ ნარმანია იყოს?

დასაწყისი მე-2 გვერდზე

კამპანიაც და იმავე მერობის შესაძლო კანდიდატებზე მეტ-ნაკლები ამომწურავი ცნობებიც მაშინ გახდება ცნობილი, მანამდე კი მთავარ თემად, ბუნებრივია, ისევ მოსამართლეების სკანდალი და რუსთავი 2-ის საქმე რჩება.

თუ რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშის ხელში აღმოჩნდა, ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ ამან სათავე სამოქალაქო პროტესტს დაუდოს და მოვლენები იმ სცენარით განვითარდეს, რომლის შესახებაც დღეს არავინ ლაპარაკობს.

**ნიუპოსტი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „ხანძრები ბაზრობებზე ძალიან საეჭვო სახეს იღებს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „კონცერტებზე მილიონების ხარჯვას სჯობს, „ბავშვთა სამყაროს“ ხანძრისგან დაზარალებულებს დაეხმარონ“

ნონა ცაბაძე

„ბავშვთა სამყაროს“ მოვაჭრეები ხელისუფლებისაგან დახმარებას ითხოვენ. დაზარალებულებმა შაბათს საპროტესტო აქცია კანცელარიასთან გამართეს და შემდეგ ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასაც მიადგნენ. საპროტესტო აქციას ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტი ზაზა ხატიაშვილი და უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი ხელმძღვანელობდნენ. რა მოთხოვნები აქვთ დაზარალებულებს, რას ითხოვენ ბიძინა ივანიშვილისგან? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ლაშა ჩხარტიშვილი პასუხობს.



***— როგორია მოვაჭრეების მოთხოვნები და რა შუაშია მათ პრობლემებთან ბიძინა ივანიშვილი?***

— ყველამ იცის, რა შუაშია ბიძინა ივანიშვილი. არ იყო დაგეგმილი ივანიშვილის რეზიდენციასთან აქციის გამართვა, მაგრამ თავად მოვაჭრეებმა მოითხოვეს, რომ კანცელარიიდან ბიძინა ივანიშვილის საცხოვრებელთან გადაგვენაცვლებინა.

***— ივანიშვილი მოაგვარებს მათ პრობლემებს?***

— დღეს ყველამ იცის, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერს ერთი ადამიანი წყვეტს. რეალურად მონარქის პირობებში ვცხოვრობთ. ამან უკვე ტრადიციული სახე მიიღო, თუმცა ამ შემთხვევაში არატრადიციული ის არის, რომ ამ კაცს თანამდებობა არ უკავია, მაგრამ მაინც ამ ქვეყანაში ერთპიროვნულ მმართველობას ახორციელებს. შესაბამისად, მისი ჩარევის გარეშე ელემენტარული საკითხების გადაწყვეტაც კი არ შეუძლიათ და არც ამის ნება გააჩნიათ. ამიტომ გადავწყვიტეთ ოლიგარქის სასახლესთან საპროტესტო აქციის გამართვა. ეს დაზარალებულთა ინიციატივითა და მოთხოვნით მოხდა.

***— როგორია მათი მოთხოვნები, რა სახის დახმარება უნდა გაუწიოს მთავრობამ? თბილისის მერი აცხადებს, რომ მოხდება ბანკებთან შუამდგომლობა სესხების გადავადების თაობაზე, სხვა რა უნდა გააკეთონ?***

— ეს არ არის საკმარისი. მათ ფულადი კომპენსაციით უნდა დაეხმარონ. ხელისუფლებას პასუხისმგებლობა გააჩნია საკუთარ მოქალაქეებზე. აღნიშნული შემთხვევა თავისი მასშტაბით სტიქიური უბედურების ტოლფასია. სწორედ სახელმწიფოსა და მთავრობის პასუხისმგებლობაა, იმიტომ რომ ამ ქვეყანაში, სხვა თუ არაფერი, სახანძრო უსაფრთხოების ნორმები, პრაქტიკულად, არ არსებობს. რაც არსებობს, ისიც არ სრულდება. თითოეული ჩვენგანი განწირული ვართ დაუცველობისა და ხანძრისათვის, რა მდგომარეობაშიც ეს ადამიანები აღმოჩნდნენ.

***— შენობა დაზღვეული იყო. რატომ არ იღებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაცია? ზოგიერთი მათგანი შენობის დემონტაჟის მომხრეც კი არ არის.***

— დაზღვევის დეტალები არ არის მთავარი.

***— აბა, რა არის მთავარი?***

— თუ დაზღვევა გავრცელდებოდა ამ ადამიანების საქონელზე, მაგრამ ასე არ არის და მხოლოდ შენობა იყო დაზღვეული. არც საყოველთაო დაზღვევის მომენტი არსებობს ამ ქვეყანაში, არც სახანძრო უსაფრთხოების ელემენტარული სისტემა. ამიტომ, დაწვეს თუ არ დაწვეს ხელისუფლებასთან დაახლოებულმა პირებმა აღნიშნული შენობა, მაინც ხელისუფლების დამწვარი გამოდის, იმ გაგებით, რომ ჩვენ არ გვიცავს და ჩვენთვის უსაფრთხო გარემოს არ ქმნის სახელმწიფო, მათ შორის ხანძართან მიმართებითაც. ყველაფერთან ერთად, სწორედ ამ კუთხითაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა!

***— ხანძრისგან დაზღვეული არავინ არისო, მოვისმინეთ მათი შეფასებები. რა უნდა ექნა ხელისუფლებას?***

— როგორ არ არის! ჩვენ უკვე 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ! არსებობს უდიდესი გამოცდილება, რომელიც პრაქტიკაში გადატანილია იმავე ევროკავშირის მრავალი დირექტივის სახით, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ მოთხოვნებს, რაც ხანძრის ალბათობას მრავალჯერ ამცირებს, დაწყებული ხანძრის საწინააღმდეგო დეტექტორებიდან, დასრულებული სწრაფი ჩაქრობის სისტემებით და ასე შემდეგ. ხანძართან თითოეული ჩვენგანი ბედის ანაბარა ვართ მიტოვებული. 21-ე საუკუნეში ასე აღარავინ იქცევა, ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნებიც კი.

***— მოთხოვნების შესახებ რას იტყოდით?***

— კომპენსირების კუთხით სრულიად ადეკვატურია მოთხოვნა. ადეკვატური გამოძიების მოთხოვნა არსებობს, მათ შორის ამ ტერიტორიაზე უსაფრთხოების ნორმების დაცვის პირობებში, ამ ხალხის მიერ რამდენიმე არჩეული პირის დაშვებისა დამოუკიდებელ ექსპერტთან ერთად, რომელთანაც კონსულტაციები დაზარალებულთა ნაწილმა უკვე აწარმოა.

***— შევა დამოუკიდებელი ექსპერტი აღნიშნულ ტერიტორიაზე?***

— ჯერჯერობით არ მომხდარა მისი დაშვება. ექსპერტის არდაშვება, ვიდეოგადაღების არგანხორციელება კიდევ უფრო აძლიერებს ეჭვებს, რომ ეს ხანძარი იყო ხელისუფლებასთან დაახლოებული პირების მიერ პროვოცირებული! მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, როგორ ნაჩქარევ განცხადებებს აკეთებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლები, მაშინ როცა ექსპერტის დასკვნაც კი არ იყო დადებული, გინდა თუ არა, შენობის დემონტაჟი უნდა მოხდესო.

დემონტაჟის ასე დაჩქარება ბადებს და აძლიერებს ეჭვებს იმის თაობაზე, რომ, შესაძლოა, საქმე გვქონდეს დანაშაულის კვალის დამალვასთან.

***— ფიქრობთ, რომ მავანმა მიზანმიმართულად დაწვა ეს შენობა?***

— ეჭვებიც და ვარაუდიც ამის თაობაზე ძალიან საფუძვლიანია, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ალტერნატიული ექსპერტის დაშვებაზეც ამ ეტაპამდე უარს აცხადებენ, არ ასაჯაროებენ არანაირ ინფორმაციას და ნაჩქარევად, პირველივე წუთებიდან მოითხოვენ შენობის დემონტაჟს.

ყველა შემთხვევაში ხელისუფლება ვალდებულია, ამ ადამიანებს დაეხმაროს. კონცერტებში მილიონების ხარჯვას ნამდვილად აჯობებს, საკუთარ მოქალაქეებს დაეხმარონ და ქუჩაში ულუკმაპუროდ არ დატოვონ!

***— ფულადი დახმარება უნდა გაუწიოს ხელისუფლებამ?***

— უნდა მოხდეს მიყენებული ზარალის სრული კომპენსირება.

***— როგორ უნდა დადგინდეს, ვინ როგორ დაზარალდა?***

— ძალიან საინტერესო კითხვაა. სწორედ ამიტომ უნდა შექმნილიყო აქამდეც და არც ახლაა შექმნილი ზარალის დამთვლელი კომისია სათანადო კომპეტენციის ფარგლებში.

***— გაგრძელდება საპროტესტო აქციები?***

— აუცილებლად გაგრძელდება, ვინაიდან ამ ადამიანებს სხვა გამოსავალი არ აქვთ. ეს ხანძარი დღისით რომ მომხდარიყო, საერთოდ ტრაგედიის მასშტაბი იქნებოდა კოლოსალური და მსხვერპლიც ძალიან დიდი იქნებოდა. ამისგან დაცული არავინ ვართ. ამიტომ ამ ადამიანების გამარჯვება ჩვენი გამარჯვებაც იქნება.

ძალიან საეჭვო სახეს იღებს ეს ყველაფერი, როდესაც ბოლო ორ-სამ წელიწადში მიყოლებით რამდენიმე ბაზრობა და კომერციული ფართი დაიწვა. ეს სერიოზულ კითხვებს აჩენს. კონკრეტული პირები ცდილობენ ამ მსუყე ლუკმის, რასაც ვაჭრობა ჰქვია, ხელოვნურად გამსხვილებასა და ხელში ჩაგდებას. არცერთ კონკრეტულ შემთხვევაზე პასუხი არ არის. დღეს ჩვენი საზოგადოება ისეთი დაუცველია, როგორც არასდროს.

# თბილისის მერიაში პრემიების სკანდალი გრძელდება

## „დეკემბერში 1.470.745 ლარი პრემია გაიცა“

შორენა მარსაგიშვილი

მიუხედავად იმისა, რომ პრემია-დანამატების გამო მერია ბევრჯერ გაეხვია სკანდალში, აქ მომუშავეები ამ სიამოვნებაზე უარს მაინც არ ამბობენ.

გასული წლის დეკემბერში დედაქალაქის მერიაში პრემია-დანამატის სახით 1.5 მილიონ ლარზე მეტი გაიცა.

მერიაში დარიგებული პრემია-დანამატების შესახებ ინფორმაცია „ახალმა საქართველომ“ გაასაჯაროვა. პარტიის ერთ-ერთი ლიდერის ლევან ხაბეიშვილის განმარტებით, გასული წლის დეკემბერში პრემიის სახით 1.470.745 ლარი გაიცა.

— დეკემბერში თბილისის მერიაში გაიცა 1.470.745 ლარის პრემია, ცალკე დანამატმა კი 192.000 ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ამ ოდენობის თანხა ერთ თვეში აიღეს მხოლოდ დედაქალაქის მერიაში მომუშავე საჯარო მოხელეებმა, — ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში „ახალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი.

მისივე თქმით, ახლო მომავალში დედაქალაქის 10 რაიონის გამგეობის, სსიპების, ააიპებისა და შპს-ების პრემია-დანამატებსაც გაასაჯაროებენ.

— წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ პრემია-დანამატები, საბოლოო ჯამში, 4 მილიონს გადააჭარბებს. ამხელა პრემია-დანამატები გაიცემა იმ ფონზე, როცა დედაქალაქში არაფერი კეთდება, — აღნიშნავს ხაბეიშვილი.

მას პრემიების თემაზე არაერთხელ აუტეხია ხმაური. მართალია, ჩინოსნები ამ სენს ვერ გადააჩვია, მაგრამ რაღაც წინსვლა მაინც არის.

— ოფიციალური დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 2016 წლის დეკემბერში პრემია არ აუღიათ მერის მოადგილეებსა და საქალაქო სამსახურის უფროსებს. ეს უკვე კარგია. ინფორმაციების გასაჯაროების შემდეგ ისინი გარკვეულ ზეწოლას განიცდიან და ამიტომაც თქვეს უარი პრემიებზე.

ჩვენ ამ მიმართულებით მომავალშიც გავაგრძელებთ მუშაობას და იმას მივაღწევთ, რომ პრემიების აღება სხვებსაც შერცხვეთ. მათ ყველაზე კარგად იციან, ეკუთვნით თუ არა პრემია, — აცხადებს „ახალი საქართველოს“ წარმომადგენელი.

ვისაც პრემიების გარეშე დარჩენილთა ბედი აწუხებს, მათ დასამშვიდებლად ხაბეიშვილი ამბობს, რომ მერის მოადგილეებმა დანამატის სახით, თითოეულმა 3.600 ლარი აიღო, ხოლო საქალაქო სამსახურის უფროსებმა — 2.600 ლარი.



მისი აზრით, საკანონმდებლო დონეზე უნდა დარეგულირდეს პრემია-დანამატების გაცემის საკითხი.

— ჩვენ არც პრემიისა და არც დანამატის გაცემის წინააღმდეგი ვართ, მაგრამ მნიშვნელოვანია, საზოგადოება ინფორმირებული იყოს, რატომ გაიცემა კოლოსალური პრემია-დანამატები ისე, რომ კონკრეტული თანამშრომლის ან საქალაქო სამსახურის მარგი ქმედების კოეფიციენტი შეფასებული არ არის. გაუგებარია, რატომ უნდა იღებდეს ყველა მოხელე იდენტურ პრემიას მაშინ, როცა მათ მიერ შესრულებული სამსახური განსხვავებულია. წარმოუდგენელია, რომელიმე საჯარო დაწესებულებაში, მით უმეტეს — თბილისის მერიაში, ყველა თანამშრომელი 100%-ით კარგად ასრულებდეს დაკისრებულ მოვალეობას.

მერიის მუშაობის ხარისხზე ყველაზე უკეთ დანგრეული გზები, გაუვალი საცობები და დაუმთავრებელი ზაჰესის ხიდი მეტყველებს. ნარმანიამ თავისი მერობა ამ ხიდით დაიწყო და ისე გასდის ვადა, რომ მის დამთავრებას ვერ ახერხებს, — განაცხადა ხაბეიშვილმა.

მისი თქმით, ასეთი თანხების გაცემა საახალწლოდ სხვა მხრივაც არის გაუმართლებელი:

— საახალწლოდ მერიაში 1,5 მილიონზე მეტი ოდენობის პრემია გაიცა, ეს მაშინ, როცა მოსახლეობის ნახევარზე მეტი ახალ წელს მშიერი შეხვდა. ბევრ ჩვენს თანამოქალაქეს შემწვარი გოჭი სურათზე ან ინტერნეტში თუ ექნება ნანახი.

# „ოცნების“ პოლიტდევნილი 2 კაცის მკვლელობისთვის გაასამართლეს

შორენა მარსაგიშვილი

2012 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა რამდენიმე ათეულ ადამიანს პოლიტდევნილის სტატუსი მიანიჭა.

ამ სიაში „ქართული ოცნების“ დეპუტატ ნანა ყეინიშვილის 2 მაზლი — იანიკ და ჯემალ ქარქუსოვებიც აღმოჩნდნენ. 2006 წლის დასაწყისში ისინი ვანო მერაბიშვილის დახმარებით ცხინვალის ციხიდან გამოაპარეს. იმავე წელს ერთ-ერთ მათგანს, ჯემალს, სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შს მინისტრის პოსტი უბოძეს, მათი კიდევ ერთი ძმა ურუზმაგი კი ამ მთავრობაში პრემიერის პოსტზე მიავლინეს.

2008 წელს იანიკმა და ჯემალმა საქართველო დატოვეს და რუსეთს სთხოვეს თავშესაფარი. რუსეთმა ისინი უპრობლემოდ შეიფარა, არადა, ცხინვალის მთავრობას მათზე, როგორც სამშობლოს მოღალატეებზე, ძებნა ჰქონდა გამოცხადებული.

საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება რამდენიმე თვის განმავლობაში ასაიდუმლოებდა მათი გაპარვის ამბავს. საინტერესოა ისიც, რომ მას შემდეგ, რაც ძმებმა რუსეთს შეაფარეს თავი, ცხინვალის ხელისუფლებას აღარც ისინი გახსენებია და აღარც — მათი ღალატი.




რუსეთს თავშეფარებულმა ძმებმა განაცხადეს, რომ ყოველთვის რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოდან მათ ხელს რაღაც ინფორმაციებიც გააყოლეს.

ქარქუსოვების პოლიტდევნილთა სიაში შეტანამ თავიდანვე ბევრი ჭორი გააჩინა. „ოცნების“ ხელისუფლება ცდილობდა, მათზე რაც შეიძლება ნაკლები ელაპარაკა. სანამ ისინი დუმდნენ, რუსეთის მიერ დავერბოვკებულმა და „ოცნების“ პოლიტდევნილად შერაცხულმა იანიკ ქარქუსოვმა 2 ადამიანი მოკლა.

ოსური მედიის ინფორმაციით, პოლიტდევნილმა იანიკმა 2016 წელს ავტომატური იარაღით ძმები რუსლან და სოსლან გოგჩიევები დახოცა. ისინი წარმოშობით ზნაურის რაიონის სოფელ დიდმუხიდან არიან.

მოკლულთაგან ერთ-ერთმა 2015 წელს ქარქუსოვს 200.000 რუბლი ასესხა. მსესხებელს ვალი 1 თვის ვადაში უნდა დაებრუნებინა. პოლიტდევნილის სტატუსის მქონემ დანაპირები არ შეასრულა. ძმები გოგჩიევები მასთან დასალაპარაკებლად რამდენჯერმე მივიდნენ სახლში, მაგრამ მოვალე ვერ ნახეს.

ადგილობრივი სამართალდამცავების ინფორმაციით, ქარქუსოვმა ერთ დღეს ძმები თავისთან დაიბარა და დაჰპირდა, ვალს დაგიბრუნებთო. ვალის დაბრუნების ნაცვლად მან ძმებს ავტომატიდან ცეცხლი გაუხსნა. ერთი მათგანი ადგილზე დაიღუპა, მეორე საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ქარქუსოვი მალევე დააკავეს. მისი სასამართლო კარგა ხანს გრძელდებოდა, განაჩენი კი მიმდინარე წლის 4 თებერვალს გამოუტანეს.

ოსური მედიის ცნობით, მან დანაშაული აღიარა და დაზარალებული მხარისგან პატიებაც ითხოვა. პროკურატურის მოთხოვნით, მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასჯელს ქარქუსოვი მკაცრი რეჟიმის კოლონიაში გაატარებს.

◆ ◆ ◆

საინტერესოა, რა განმარტებებს გააკეთებს „ქართული ოცნება“ ამ ფაქტზე. პოლიტპატიმართა და პოლიტდევნილთა სიასთან დაკავშირებით ისედაც ბევრი კითხვის ნიშანი იყო.

# ბათუმში შაჰინის სკოლა-ლიცეუმს ავტორიზაცია გაუუქმდა

**ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე მდებარე შაჰინის სახელობის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმს ავტორიზაცია გაუუქმდა.**

**როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა დავით კობახიძემ განუცხადა, გეგმური მონიტორინგის შედეგად სკოლას ალმოაჩნდა სერიოზული დარღვევები ბავშვების ჩარიცხვასთან დაკავშირებით.**

**მისივე განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობით, სკოლას აღარ აქვს ფუნქციონირების უფლება, რის გამოც მოსწავლეები მობილობით სხვადასხვა სკოლაში უნდა გადანაწილდნენ.**



დირექტორი: „სკოლა, სავარაუდოდ, პოლიტიკური მოტივით დაიხურა“

სკოლა-ლიცეუმის დირექტორ ელგუჯა დავითაძის თქმით, ბოლო პერიოდის განმავლობაში სკოლაში განათლების სამინისტროს შესაბამისი სამსახური სამჯერ შევიდა.

– არავითარი გაფრთხილება არ ყოფილა, შემოწმებაზე გასულ წელს ორჯერ და წელს ერთხელ შემოვიდნენ, სკოლის რესურსების მონიტორინგს ახორციელებდნენ, – აღნიშნა ელგუჯა დავითაძემ.

ის ფიქრობს, რომ სკოლისთვის საგანმანათლებლო საქმიანობის აკრძალვა, სავარაუდოდ, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა.

როგორც ელგუჯა დავითაძემ 4 თებერვალს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად თურქეთის მოქალაქეების სკოლაში სწავლის საკითხი დარეგულირებული იყო და ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი გამოდგა.

მისი თქმით, ორშაბათს სასწავლო პროცესი ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდება, რადგან მათ ავტორიზაციის გაუქმების ოფიციალური განცხადება არ მიუღიათ.

– სკოლის ადმინისტრაცია პროტესტს გამოთქვამს მიღებულ უსამართლო გადაწყვეტილებაზე, რადგან ადგილი აქვს კანონის დარღვევას მონიტორინგის განხორციელებისას, – განაცხადა დირექტორმა.

მისი ინფორმაციით, ძირითადი ყურადღება გამახვილებული იყო უცხო ქვეყნის 6 მოქალაქეზე, რომლებიც სკოლა-ლიცეუმში სწავლობენ.

– საუბარი იყო იმაზე, რომ მათი ჩარიცხვა არაკანონიერი გზით მოხდა, თუმცა, როგორ უნდა მომხდარიყო ამ მოქალაქეების ჩარიცხვა ქართულ სექტორზე, ჩვენ კონსულტაცია გავიარეთ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად, რისი ოქმიც არსებობს, – აღნიშნა დირექტორმა.

ის ამბობს, რომ სკოლაში 9 წელია სწავლობენ თურქეთის მოქალაქეები და ამ დრომდე არ შექმნილა პრობლემა.

– ბოლო ავტორიზაციის დროს დასვეს საკითხი, რომ თურქული სექტორი უნდა გაუქმებულიყო და მხოლოდ ამ შემთხვევაში ვიქნებოდით ავტორიზებული სკოლა. განვაცხადეთ თანხმობა და მივიღეთ თურქული სექტორის გაუქმების გადაწყვეტილება, ვუთხარით, რომ იმავე დღეს გავუშვებდით ამ ბავშვებს ჩვენი სკოლიდან ან სხვა სკოლებში გადავამისამართებდით, მაგრამ განათლების სამინისტროს წარმომადგენლებმა თქვეს, რომ ეს იქნებოდა მოსწავლეების უფლებების დარღვევა, ასე არ უნდა გაგვეკეთებინა და ეს პროცედურა უნდა გაგვევლო ეტაპობრივად, – განაცხადა დავითაძემ.

ავტორიზაციის საბჭოსთან ერთად მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ თურქული სექტორის გაუქმება მოხდებოდა ეტაპობრივად – უნდა განხორციელებულიყო თურქულ სექტორზე მყოფი ბავშვების ქართულ სექტორზე გადაყვანა, უნდა გახსნილიყო პარალელური კლასები და თურქულ კლასებში ქართული ენის გაძლიერებული სწავლება უნდა ყოფილიყო.

– ამასთანავე, მშობლებისთვის უნდა მიგვეწოდებინა ინფორმაცია, რომ სასწავლო წლის ბოლოს აღარ იარსებებდა თურქული სექტორი და მიეღოთ შესაბამისი ზომები. ჩვენ ეს ყველაფერი ავტორიზაციის საბჭოსთან შეთანხმებით მივიღეთ, მაგრამ ახლა გვეუბნებიან, რომ ასე არ უნდა გაგვეკეთებინა და პროცედურები უნდა განხორციელებულიყო სულ სხვა გზებით.

ვერ ვნახეთ საქართველოს განათლების რეგულაციაში, თუ როგორ უნდა მოხდეს თურქული სექტორიდან ქართულ სექტორზე მოსწავლეების გადასვლა – ეს ჩაგვეთვალა დარღვევად და ავტორიზაცია არ მოგვცეს, – აღნიშნა ელგუჯა დავითაძემ.

მისივე განცხადებით, 18 იანვარს თურქულ გამოცემა „საბაჰში“ გამოქვეყნებულია ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ „საქართველო მზადაა, დარტყმა მიაყენოს შაჰინის სკოლას“, რაც არის, სავარაუდოდ, პოლიტიკის ნაწილი და გულისხმობს შაჰინის სკოლებზე მიზანმიმართულ შეტევას.

– ეჭვი მაქვს, რომ ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური საკითხი. ამის საბაბს მაძლევს ის, რომ 18 იანვარს თურქულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, საქართველო მზადაა, დარტყმა მიაყენოს ამ სკოლებს, დახუროს და გადაუფორმოს თურქეთის მიერ გახსნილ საგანმანათლებლო ფონდს, – განაცხადა სკოლის დირექტორმა.

სკოლის ადმინისტრაცია მუშაობს ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან, უფლებადამცველებთან ერთად.

– გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა კანონიერ უფლებას, რათა დავიცვათ საკუთარი მოსწავლეებისა და თანამშრომლების უფლებები. ჩვენ უკვე შევიტანეთ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში ბოლოს განხორციელებული მონიტორინგის ბათილობასთან დაკავშირებით, – აღნიშნა ელგუჯა დავითაძემ.

სკოლა-ლიცეუმის დირექტორი პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს, განათლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავასა და სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს მიმართავს, პირად კონტროლზე აიყვანონ და დაიცვან სკოლის 340 მოსწავლის, მათი მშობლებისა და პედაგოგების კანონიერი უფლებები.

– არავის მისცეთ უფლება, უკანონოდ დახუროს სკოლა, რომელიც უკვე 23 წელია, ქვეყნის სამსახურშია და არ შეიზღუდოს სკოლის მუშაობა, სადაც საქართველოს ღირსეული მოქალაქეები იზრდებიან, – აღნიშნულია განცხადებაში.

◆ ◆ ◆

სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით მშობლებმა პრეტენზიები გამოთქვეს.

როგორც მშობელი გულთამზე დავითაძე აცხადებს, სკოლა საუკეთესო მოსწავლეებს ზრდის და მისი დახურვა არ შეიძლება.

– ჩემი ორი შვილი სწავლობს ამ სკოლაში. დაგვიბარეს და გაგვაცნეს, რომ სკოლას ავტორიზაცია იმის გამო გაუუქმდა, რომ პრობლემა თურქული სექციაა. მინდა მივმართო საქართველოს განათლების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას, რომ ამ სკოლაში 6 თურქი მოსწავლის გარდა 340 ქართველი სწავლობს. თუკი ტერორისტები იზრდებიან ამ სკოლაში, მშობლები რატომ არ ვართ ინფორმირებული? – განაცხადა გულთამზე დავითაძემ.

კიდევ ერთი მშობელი ლია ფუტკარაძე კი ამბობს, რომ ეს არის ის სკოლა, რომელმაც წლების განმავლობაში წარმატებული თაობა გაზარდა.

◆ ◆ ◆

4 თებერვალს შაჰინის მეგობრობის სკოლა-ლიცეუმთან დაკავშირებით აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა ინგა შამილიშვილმა განცხადება გააკეთა.

მინისტრის თქმით, ის დაელოდება აკრედიტაციის სამსახურის საბოლოო გადაწყვეტილებას და საქართველოს განათლების სამინისტროსთან ერთად შეეცდება მობილობის საკითხის გადაწყვეტას.

– აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აკრედიტაციის სამსახურის საბოლოო გადაწყვეტილებას დაელოდება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად კოორდინირებულად შეეცდება მოსწავლეთა მობილობის საკითხის გადაწყვეტას, – განაცხადა ინგა შამილიშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# თიბისი ბანკის დაფინანსებით აღდგენილი ფიროსმანი თიბისი გალერეაში გამოიფინა

თიბისი ბანკის დაფინანსებით აღდგენილი ფიროსმანის 2 ნამუშევარი „თამარ მეფე“ და „რუსთაველი“ საქართველოში პირველად, მირზაანის მუზეუმის კოლექციასთან ერთად, თიბისი გალერეაში გამოიფინა.

გამოფენის საზეიმო გახსნა 2 თებერვალს გაიმართა, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დირექტორი ნიკა ანთიძე და თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე ესწრებოდნენ.

გამოფენა 16 თებერვლის ჩათვლით გაგრძელდება და მისი ნახვა ყველა მსურველს შეეძლება. სკოლის მოსწავლეებისათვის მოეწყობა ტურები, რომელთა მიზანია ფიროსმანის შემოქმედების უფრო ახლოს გაცნობა – მუზეუმის გიდი მოსწავლეებს მოუყვება ისტორიებს ფიროსმანის შესახებ, ასევე დამთვალიერებელს საშუალება ექნება, იხილოს ანიმაცია ფიროსმანის შესახებ, რომელიც თიბისი ბანკის ინიციატივითა და დაფინანსებით შეიქმნა.

ნამუშევრებზე სარესტავრაციო სამუშაოები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმის სარესტავრაციო სახელოსნოს სპეციალისტების ნანა მანაგაძისა და ეველინა კარსელის მიერ რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ფიროსმანისთვის შოთა რუსთაველი და თამარ მეფე საყვარელი თემაა. მათი პორტრეტები მხატვარს რამდენჯერმე აქვს შესრულებული და ისინი სხვადასხვა კოლექციაში ინახება.

კონკრეტულად ეს ორი ნამუშევარი ფიროსმანის მიერ 1913-14 წლებშია შესრუ-





იოსებ მეგრელიძისა და მისი მეუღლის, თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძის კერძო კოლექციაში ინახებოდა. 1989 წელს ოჯახმა ეს ნამუშევრები ხალხთა მეგობრობის მუზეუმს გადასცა, საიდანაც შემდეგ მირზაანის ნიკო ფიროსმანის მუზეუმში მოხვდა.

რესტავრაციის პროცესი რამდენიმე ეტაპად განხორციელდა: დაზიანებული ადგილები რესტავრირდა, დეფორმაცია გასწორდა, დამუშავდა და გაიწმინდა ზედაპირი.

**ნანა მანაგაძე:**

– ჩაუტარდა რესტავრაცია „თამარ მეფესა“ და „შოთა რუსთაველს“. ძალიან რთული დაზიანებები ჰქონდა, რადგან მუყაფიცარზე და ძლიერი დეფორმაცია ჰქონდა. დაკარგული იყო კუთხეები. როგორც ჩანს, ოდესღაც ამ ნახატებს საკმაოდ არაკვალიფიციურად ჩაუტარდა რესტავრაცია – ჰქონდა არასწორი ტონირებები და ზედაპირული ჭუჭყით იყო დაფარული, რის გამოც მათზე მუშაობა საკმაოდ საფუძვლიანად გახდა საჭირო. რთული პროცესი იყო, მაგრამ დავძლიეთ. გასწორდა მუყაოს უკანა მხარე და დუბლირება გაკეთდა ტილოზე.

**მამუკა ხაზარაძე:**

– კულტურის სამინისტროსთან ერთად მოხდა ფიროსმანის 2 არაჩვეულებრივი ნახატის აღდგენა. მნიშვნელოვანია, რომ 10 დღის განმავლობაში ქართველ საზოგადოებას პირველად მიცემა საშუალება, ნახოს ფიროსმანის უნიკალური ნახატები. ეს ჩვენი ქვეყნის მემკვიდრეობაა და სასურველი იქნება, ძალიან ბევრმა ადამიანმა ნახოს, განსაკუთრებით ბევრი ბავშვი მოვიდეს სკოლებიდან, რათა ავუხსნათ და ვაჩვენოთ ფიროსმანის ისტორია, რითიც ჩვენ ძალიან ვამაყობთ.

**მიხეილ გიორგაძე:**

– მიხარია, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და თიბისი ბანკის ხელშეწყობით გრძელდება ფიროსმანის ნახატების აღდგენა. თიბისი გალერეაში ვიწვევთ საზოგადოებას, სადაც ფიროსმანის სხვა ნახატებთან ერთად გამოფენილი იქნება აღდგენილი „თამარ მეფე“ და „რუსთაველი“. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ გამოფენას საგანმანათლებლო ხასიათიც ექნება. სკოლის მოსწავლეებისთვის მოეწყობა სპეციალური ტურები, სადაც კიდევ უფრო დაწვრილებით მიიღებენ ინფორმაციას ფიროსმანის შემოქმედების შესახებ. ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო რესტავრატორებს და სასიამოვნოა, რომ ჩვენ არ გვჭირდება უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანა და ამის რესურსი ჩვენვე გაგვაჩნია.

გამოფენაზე წარმოდგენილია მირზაანის მუზეუმის სრული კოლექცია. ეს არის 1895-1918 წლებში განსხვავებულ ჟანრსა და თემაზე, ასევე მასალაზე (მუყაო, თუნუქი, მუშამბა) შესრულებული ნამუშევრები.

ფიროსმანის სურათებთან ერთად გამოფენაზე ექსპონირებულია პაბლო პიკასოს 1972 წელს შესრულებული ნიკო ფიროსმანიშვილის პორტრეტი.

რესტავრირებული ნამუშევრები მირზაანის კოლექციას მალევე დაუბრუნდება.

# 2013 წლიდან რკინიგზის ტვირთბრუნვა მუდმივად იკლებს

სარეიტინგო კომპანია ფიტჩმა საქართველოს რკინიგზას რეიტინგი შეუმცირა. მისი განმარტებით, გასული წლის 9 თვეში რკინიგზის ტვირთბრუნვა – 21%-ით, ხოლო შემოსავლები 25%-ით შემცირდა. თემაზე ბიზნესკონტრაქტთან ანალიტიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის წარმომადგენელი ირაკლი დანელია საუბრობს.





***– ბატონო ირაკლი, საქართველოს რკინიგზისთვის რას ნიშნავს ფიტჩის რეიტინგის შემცირება?***

– იმას ნიშნავს, რომ საქმე მთლად კარგად არ გვაქვს. 2013 წლიდან დღემდე ტვირთბრუნვის საერთო მოცულობა და ზოგადად ტრენდი კლებადი ხასიათისაა. ამის მიზეზი სამი ფაქტორია.

2014 წლიდან ყაზახური ნედლი ნავთობის ტრანსპორტირება, რომელიც რკინიგზის მეშვეობით ხდებოდა, მილსადენებზე გადავიდა. ეს ის ტვირთია, რომელიც დაახლოებით 50%-მდე ავსებდა ტვირთის საერთო მოცულობას, რომელიც სარკინიგზო ხაზის მეშვეობით აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გადაიქაჩებოდა. ამ პროდუქციის ჩანაცვლება მოხდა უკვე ნავთობპროდუქტებისა და სხვადასხვა ქიმიური ნედლეულის მეშვეობით, თუმცა ამან 20%-იანი ზღვარი შეავსო. გარდა ამისა, 2016 წელს ნავთობზე ფასების საერთო დონე მკვეთრად შემცირდა. აქედან გამომდინარე, ბაზარზე მოთხოვნა შემცირდა და ასეთი ლოგიკური ჯაჭვი შეიქმნა. ტვირთბრუნვის საერთო მოცულობამაც იკლო.

სხვა ფაქტორებიც არსებობს. ჩვენ ირგვლივ სატრანზიტო მარშრუტები არსებობს, გაცილებით უფრო ნაკლები ტარიფით შეიძლება ტვირთვის გადაზიდვა. აქედან გამომდინარე, ფასწარმოქმნის სისტემაც ჯერ კიდევ გაუკვალავია იმ სარტყელში, რომელსაც ჩვენ ტრასეკას ვეძახით.

***– საქართველოს რკინიგზას რა შეუძლია გააკეთოს კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად?***

– საკითხი კომპლექსურია და მხოლოდ ტვირთბრუნვა ამას ხელს ვერ შეუწყობს. დევალვირებული კურსი მნიშვნელოვანი ფაქტორია. არანაკლები მდგომარეობაა სომხეთსა და აზერბაიჯანში. ეს ორი ქვეყანა შემთხვევით არ ვახსენე, რადგან სწორედ ეს ორი ქვეყანა ასტიმულირებს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის განვითარებას და ტრანზიტული ტვირთების საერთო მოცულობის ზრდას. აქედან გამომდინარე მასში არსებული მაკროეკონომიკური რყევებიც მოქმედებს ამ ყველაფერზე.

შესაბამისი ინფრასტრუქტურული ბაზა არ არსებობს. თვითონ ტრასეკასა და ზოგადად ახალი აბრეშუმის გზის სარტყელი მულტიმოდალური სატრანზიტო მარშრუტია და იგი არა მხოლოდ სარკინიგზო მონაწილეობას გულისხმობს, არამედ საავტომობილო და საზღვაო მონაწილეობებსაც. ეს ერთი მიწოდების ჯაჭვია, რომელიც რამდენიმე მიმართულებას აერთიანებს.

როდესაც რკინიგზის კუთხით ტვირთბრუნვის გაზრდაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მივაბათ აქ საპორტო და სატერმინალო მომსახურებებიც.

***– გაუარესებულ შედეგზე პასუხისმგებელი ვინ არის?***

– იმის თქმა გამიჭირდება, რომ ამაში მხოლოდ საქართველოს რკინიგზის მენეჯმენტია დამნაშავე, თუმცა მას გარკვეული სტრატეგიის გაწერა შეუძლია, რომ ალტერნატიული მარშრუტებით ტვირთბრუნვის გაზრდა მოხდეს. მაგალითად, ყარსი-ახალქალაქის მონაკვეთი ნამდვილად სერიოზული წინგადადგმული ნაბიჯი იქნება, რომელიც, სავარაუდოდ, 1-1,5 წელიწადში გარკვეულ შედეგს დადებს.

**ბიზნესკონტრაქტი**

# ტურისტული კომპანიები სექტორის ლიცენზირებას ითხოვენ

ის ტურისტული კომპანიები, რომელთაც ბაზარზე საქმიანობის რამდენიმეწლიანი გამოცდილება აქვთ, პირდაპირ მიუთითებენ, რომ ტურიზმის სექტორი სრულიად უმართავი გახდა, რადგან დღეს ყველას, ვისაც ამის სურვილი აქვს, ყოველგვარი გამოცდილებისა და პასუხისმგებლობის გარეშე შეუძლია, გახსნას ტურისტული სააგენტო.




შედეგად, მომხმარებელთა უმრავლესობა ვერ იღებს იმ სერვისს, რომელსაც ყიდულობს.

ტურისტული ბიზნესი გამოსავალს კომპანიების სერტიფიცირებაში ხედავს, რადგან ბევრი ტურისტული სააგენტოს საქმიანობის პრინციპები რეგულირებული არ არის, რითაც მათი იმიჯი სერიოზულად ზიანდება.

– ხშირად ტაქსისტებიც კი სთავაზობენ ტურისტებს მომსახურებას და ამით კონკურენციას უწევენ კომპანიებს. თუ ლიცენზირებას მივიღებთ, რა თქმა უნდა, ეს დაგვეხმარება, სათანადო მომსახურება გავუწიოთ ტურისტს, – აცხადებს ჯორჯიან თრეველ გრუპის ხელმძღვანელი თამთა ფოფხაძე.

– დარგის ლიცენზირების შემოღების თხოვნით ბევრი კომპანია მიმართავს ტურიზმის ეროვნულ სააგენტოს, – ამბობს გალერი თრეველ თბილისის ხელმძღვანელი.

თამუნა ქათამაძის თქმით, ადმინისტრაციამ განუცხადა, რომ მათ არ უნდათ ხელი შეუშალონ კერძო ბიზნესს, რადგან ეს მრავალი ტურისტული სააგენტოს დახურვას გამოიწვევს.

– ჩვენ ვაწყდებით პრობლემებს. თუ პრეტენზია გვაქვს ჩარტერზე და გვინდა ბევრი ტურისტის შემოყვანა, კომპანია უნდა იყო ლიცენზირებული, – აცხადებს თამუნა ქათამაძე.

ტურისტული კომპანიების ლიცენზირების მომხრეა ავიაკომპანია „ატლას გლობალის“ კომერციული დირექტორიც.

თამუნა თანდაშვილის თქმით, ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება ნახევრად სახელმწიფო და ნახევრად კერძო იყოს, ეფექტური იქნება იმ შემთხვევაში, თუ ის არა მხოლოდ ნებართვების გაცემით დაკავდება, არამედ სექტორს სხვადასხვა ტურისტული ბაზრების მოძიებაში დაეხმარება.

– ორგანოს ამოცანა, რომელიც გასცემს ლიცენზიებს, უნდა იყოს სხვადასხვა ავიამიმართულების განვითარება და იქ ტურისტული პოტენციალის მოძებნა და შემდგომ იმ ლიცენზირებული ტუროპერატორის დაკავშირება უცხოეთის ტუროპერატორებთან. თუკი მოახერხებს სახელმწიფო ან კერძო სექტორი ასეთი ორგანიზაციის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს არამარტო ნებართვების გაცემას, არამედ მათი საქმიანობის განვითარებას, მაშინ ეს სარგებლის მომტანი იქნება, – განმარტავს თანდაშვილი.

◆ ◆ ◆

რაც შეეხება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პოზიციას, გიორგი ჩოგოვაძე დღევანდელი სისტემის ნაკლოვანებებს აღიარებს.

მისი განმარტებით, ლიცენზირებას როგორც დადებითი ისე უარყოფითი მხარე აქვს, თუმცა ადმინისტრაცია მზად არის, გადაწყვეტილება კერძო სექტორთან აქტიური კომუნიკაციის ფორმატში მიიღოს.

– ერთი მხრივ, არსებობს ნაკლოვანებები დღევანდელი სისტემის. მეორეს მხრივ შეიძლება ლიცენზირება ტურისტული ნაკადების შემცირებას გულისხმობდეს. ჩვენ ფართომასშტაბიან კონსულტაციებს და შეხვედრებს გავმართავთ ამ საკითხთან დაკავშირებით, რათა ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა, გამოთქვას თავისი არგუმენტები. ამაზე უნდა იყოს ტურიზმის სექტორის ფართო კონსენსუსი, – აცხადებს გიორგი ჩოგოვაძე.

**ბიზნესკონტრაქტი**

# „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში 17 სასტუმრო აშენდება

– „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში რეგიონებში 17 სასტუმრო აშენდება.

ამის შესახებ ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ქეთევან ბოჭორიშვილი აცხადებს.

მისი თქმით, აღნიშნული სასტუმროებიდან რამდენიმე ბრენდული სასტუმროა.

– ახლახან დავაანსონსეთ გუდაურში „კარლსონ რეზიდორის“ შემოსვლა. კონკრეტულად განიხილება „რადისონ ბლუს“ მშენებლობა. ასევე გუდაურით დაინტერესებული არიან სხვა ცნობილი ბრენდებიც და ამას მალე დავაანონსებთ. ბორჯომში უკვე გვაქვს რამდენიმე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო. ბორჯომიც მომხიბვლელი ადგილია დამატებით სასტუმროების განსავითარებლად, – აცხადებს ქეთევან ბოჭორიშვილი.

„უმასპინძლე საქართველოში“ სამთავრობო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი კომპონენტია. მეწარმეობის განვითარების სააგენტო კომპანიებს სესხის პროცენტის თანადაფინანსებაში ეხმარება, რაც დოლარის შემთხვევაში – 8%, ლარის შემთხვევაში კი 10%-ია.

სააგენტოს დამტკიცებულ 13 სასტუმროს პროექტში კერძო სექტორმა უკვე განახორციელა 26 მილიონი ლარის ინვესტიცია, ხოლო სააგენტოს მხრიდან სესხის ნაწილში მოხდა 16 მილიონი ლარით თანადაფინანსება.

**ელენე გოგბერაშვილი,**
**ბიზნესკონტრაქტი**

# საქართველოში სიმინდის ზეთის პირველი ქარხანა წარმოებას წლის პირველ ნახევარში დაიწყებს



საქართველოში სიმინდის ზეთის 2 ქარხანა ქალაქ ხობში გაიხსნება, სადაც 80-დან 100-მდე ადამიანი დასაქმდება.

– პროდუქციის ექსპორტი ჯერჯერობით არ იგეგმება. პირველ ეტაპზე ბიზნესი მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზეა გათვლილი, ხოლო რაც შეეხება კონკურენტუნარიანობის უპირატესობას, ჩვენი პროდუქცია იქნება ხარისხიანი, ნატურალური სიმინდისგან დამზადებული, – განაცხადა კომპანია კოლხას ხელმძღვანელმა გიორგი ბუკიამ ბიზნესკონტრაქტთან საუბრისას.

ქარხანა დღიურად 50 ტონა მარცვალს გადაამუშავებს, ხოლო ზეთის გამომუშავება დღიურად 1-1,5-ტონა იქნება.

პროდუქცია ბაზარზე „ქარვის“ სახელით გამოჩნდება.

**ბიზნესკონტრაქტი**

# თბილისში ცენტრალური პარკი, შესაძლოა, რკინიგზის ადგილზე მოეწყოს

– ცენტრალური პარკი თბილისში, შესაძლოა, რკინიგზის გადატანის შემდეგ გამოთავისუფლებულ ადგილზე მოეწყოს.

ამის შესახებ რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას ექსკლუზიურად თბილისის გენერალურ გეგმაზე მომუშავე კომპანიის „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ დირექტორმა მამუკა სალუქვაძემ განაცხადა.

მისი თქმით, გენგეგმის ძირითად დოკუმენტზე, სტრატეგიაზე მუშაობა დასრულებულია, ამ ეტაპზე მიდის მუშაობა, რომ დოკუმენტმა საბოლოო სახე მიიღოს და 15 აპრილისთვის წარედგინოს დედაქალაქის მთავრობას.



სალუქვაძის განცხადებით, ამის შემდეგ საკრებულომ უნდა დაამტკიცოს გეგმა, რომ მან ნორმატიული დოკუმენტის სახე მიიღოს.

„სითი ინსტიტუტი საქართველოს“ რეკომენდაციებს შორისაა რკინიგზის გადატანის საკითხი, ელიავას ბაზრობის ტერიტორიის გათავისუფლება და ალტერნატიული ფართების შეთავაზება. პოლიცენტრების შექმნა მსხვილ რაიონებში იმისთვის, რომ ყველა სერვისის მისაღებად მოქალაქეებმა ცენტრში არ იარონ, კ2 კოეფიციენტის შეზღუდვა ცენტრალურ უბნებში.

– ჯერჯერობით კონკრეტიკა ქალაქის მთავრობასთან არის შესათანხმებელი. იგივე ელიავას ბაზრობასთან დაკავშირებით მესაკუთრეებთან არის მოლაპარაკება საჭირო, თუმცა არსებობს ადგილები რაც შესაძლოა, შეთავაზებული იქნას ელიავას ტერიტორიის სანაცვლოდ, – აცხადებს სალუქვაძე

მისივე თქმით, ცენტრალური პარკის გაკეთების საკითხი გენგეგმაში ჩადებულია და შესაძლოა, ასეთად რკინიგზისგან გამოთავისუფლებული ტერიტორია განიხილებოდეს, რკინიგზის გადატანის საკითხი კი დიდუბიდან ნავთლუღამდე მონაკვეთში განიხილება.

მისივე თქმით, გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფმა ასევე მოამზადა ცალკეული რეკომენდაციები ეკოლოგიისა და გარემოს დაცვის საკითხებში.

– გენგეგმის ჯგუფის მიერ შემუშავებული გეგმა რიგ შემთხვევებში რევოლუციურია, – დასძენს სალუქვაძე.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# გასულ წელს ფეისბუქის მოგება 177%-ით გაიზარდა

ფეისბუქმა გასული კვარტლისა და მთელი 2016 წლის ფინანსური შედეგები გამოაქვეყნა.




გასული წლის მონაცემებით, ფეისბუქის შემოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. წლიურ ჭრილში სოციალური ქსელის წმინდა მოგება 177%-ით გაიზარდა და 10,217 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, მაშინ როცა 2015 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 3,688 მილიარდი აშშ დოლარი იყო.

კომპანიის შემოსავლები კი 54%-ით, 27,427 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

გარდა ამისა, სოციალური ქსელით ყოველდღიურად მოსარგებლე მომხმარებელთა საშუალო რაოდენობამ გასული წლის დეკემბერში 1,23 მილიარდი ადამიანი შეადგინა და აღნიშნულმა მაჩვენებელმა წინა წელთან შედარებით 18%-იანი ზრდა აჩვენა.

მომხმარებელმა, რომელიც სოციალურ ქსელში მობილური მოწყობილობებით შედის, 1,15 მილიარდი ადამიანი შეადგინა, ხოლო იმ მომხმარებელთა რიცხვი, რომელიც ქსელს თვეში თუნდაც ერთხელ მაინც გამოიყენებს 1, 86 მილიარდი ადამიანია.

2016 წელს ფეისბუქის სარეკლამო შემოსავალი 57%-ით 26,885 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა, სხვა განყოფილებებმა კი მას 753 მილიონი აშშ დოლარი მოუტანეს.

– 2016 წელი ჩვენი კომპანიისთვის ძალიან კარგი წელი იყო, თუმცა ჩვენ ადამიანების ერთმანეთთან უფრო დასაახლოებლად კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი, – განაცხადა სოციალური ქსელის დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა.

# ლევან ალაფიშვილი: „პრეზიდენტის ვეტო ამბობს, რომ სასამართლო დღესვე გახდეს დამოუკიდებელი“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში სასამართლო სისტემის რეფორმის მესამე ტალღასა და პრეზიდენტის მორიგ ვეტოზე საუბრობს.

***— ბატონო ლევან, საპარლამენტო უმრავლესობის წევრები აცხადებენ, რომ სანამ პრეზიდენტი ვეტოს მიმართავს, მანამდე უნდა გაიმართოს კონსულტაციები. როგორ ფიქრობთ, პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენება და შემდეგ მისი უმრავლესობის მიერ დაძლევა ერთგვარ თამაშის წესად ხომ არ იქცა?***

— საპარლამენტო უმრავლესობა კი აცხადებს, მანამდე რატომ არ გაიმართა კონსულტაციები, სანამ პრეზიდენტი ვეტოს გამოიყენებდაო, მაგრამ ეს არის პოლიტიკური შეფუთვა, რადგან პრეზიდენტმა უშუალო კომუნიკაციის ამსახველი წერილები გვაჩვენა, რომლებიც უმრავლესობასთან იყო გაგზავნილი.

ეს არის გაგრძელება იმ პოლიტიკისა, რომელიც უკვე არაერთხელ ვნახეთ. ეს არის იმის თვალნათელი ასახვა, თუ როგორ წარმოუდგენია მმართველ ძალას სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობა, თუ როგორ სცემს მას პატივს. ასე სცემენ პატივს პარტიული პოლიტიკის მიღმა მყოფ დამოუკიდებელ სახელისუფლებო შტოს წარმომადგენელს, პრეზიდენტის ინსტიტუტს. რაც შეეხება ამ კონკრეტულ ვეტოს, სიმართლე უნდა იცოდეს ყველამ.



***— და რა არის სიმართლე?***

— მმართველი ძალის მიერ მიღებული კანონპროექტი მოსამართლეებს ეუბნება, რომ ჩვენ, პოლიტიკოსები, განვსაზღვრავთ, თუ როდის მოგანიჭებთ დამოუკიდებლობას. პრეზიდენტის ვეტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ ეკუთვნის მხოლოდ პრეზიდენტს. ეს უფრო საერთაშორისო ორგანიზაციების, კონკრეტულად კი ვენეციის კომისიის ხედვების, პოზიციის ასახვაა. ამ ვეტოს მე ვენეციის კომისიის პოზიციის გაგრძელებას დავარქმევდი.

პოლიტიკოსებმა ხვალ კი არ უნდა გადაწყვიტონ სასამართლოს ბედი, არამედ დღესვე უნდა გახდეს სასამართლო დამოუკიდებელი. ამაზეა საუბარი. ეს ვეტო ამბობს, რომ დღესვე გახდეს მოსამართლეთა კორპუსი დამოუკიდებელი, რაც ასე ძალიან გვჭირდება ყველას, მთელ ქვეყანას, კანონმდებლები კი გვეუბნებიან, ხვალ იყოს დამოუკიდებელიო, მაგრამ რატომ ხვალ?! ვერ გვპასუხობენ.

***— საპარლამენტო უმრავლესობამ უკვე თქვა, რომ პრეზიდენტის ვეტოს დაძლევენ. ეს ნიშნავს თუ არა, რომ არცერთი შენიშვნა არ იქნება გათვალისწინებული?***

— „ქართული ოცნების“ ყველა ახალმა სახემ არჩევნებიდან მეორე დღეს განაცხადა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას, რომელიც მათ მოიპოვეს, სუბიექტური შეხედულებებისამებრ არ გამოიყენებდნენ, იმოქმედებდნენ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე და განმსაზღვრელი იქნებოდა ჩვენი საზოგადოებისა და საერთაშორისო საზოგადოების პოზიცია.

***— ხელისუფლების ერთ-ერთი არგუმენტია, რომ სასამართლო სისტემის მესამე ტალღა აუცილებლად სჭირდება რეფორმირების გზაზე სასამართლოს, რომ სწორედ ამ კანონპროექტის მონაპოვარია საქმეთა ელექტრონული, შემთხვევითი შერჩევა. ეს არ არის თქვენთვის რეალური არგუმენტი?***

— უფრო მეტი არგუმენტი იქნებოდა, რომ სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევაც ყოფილიყო, ასევე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციის საკითხი, უზენაესი სასამართლოს, აპელაციის საკითხები. ეს ის საკითხებია, რომლებიც რეალურად დღესვე გახდიდა სასამართლო სისტემას დამოუკიდებელს.

აი, ამ კონკრეტულ საკითხებზე ამბობენ უარს, პრეზიდენტი კი ეუბნება ამ თავისი ვეტოთი, დღესვე გააკეთეთო. რაც შეეხება საქმეთა ელექტრონულ განაწილებას, სწორედ პრეზიდენტმა სარეზერვო ფონდიდან გამოუყო სასამართლოს თანხა, რომ ეს სისტემა აეწყოს.

***— პრეზიდენტის ვეტოს ასე უპრობლემოდ თუ დაძლევს უმრავლესობა, მაშინ რა აზრი აქვს მას?***

— პრეზიდენტის ვეტო არ არის ვეტო ვეტოსთვის. ამ ტიპის, ე.წ. მცირე შეყოვნების ვეტოს, მნიშვნელოვანი პოლიტიკური და საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს. ამით ხდება საზოგადოების ყურადღების ცენტრში კანონმდებელთა პოლიტიკური ზრახვების მოქცევა. სხვა საკითხია, შედეგი რა შეიძლება იყოს.

ფაქტია, რომ პრეზიდენტი სახელისუფლებო შტოებს მოცილებულია და ეს ხაზს უსვამს მის განსაკუთრებულ პოზიციას. პრეზიდენტის როლია, სახელმწიფოებრივი პრობლემები გახადოს პოლიტიკოსთა და სახელმწიფო შტოთა მსჯელობის საგანი და არა საკუთარი პარტიის ინტერესებიდან გამომდინარე ჭრაკერვა.

# „ზარი ახლობელთან“ — ქრთამის სახით აღებული 50 ათასი ლარი და ოზურგეთიდან გაქცეული კომპანია



გავრცელებული ინფორმაციით, ქალაქ ოზურგეთის მერიამ ფირმა „პირამიდას“ ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულება შეუწყვიტა.

არაოფიციალურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქალაქის მერიამ ხელშეკრულება აღნიშნულ კომპანიას მას შემდეგ გაუწყვიტა, რაც ტენდერით გათვალისწინებული თანხის დარჩენილი ნაწილი მთლიანად გადაურიცხა, რომლის შემდეგაც „პირამიდა“ ხელმძღვანელებიანად გაქრა.

თუ რა სამუშაოებს ახორციელებდა კომპანია, რა ვალდებულებები აიღო ტენდერის პირობებში და რა ვერ შეასრულა, ამასთან დაკავშირებით „გურიის მოამბე“ ქალაქ ოზურგეთის მერიას დაუკავშირდა, საიდანაც ამ თემაზე კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ.

— ქალაქ ოზურგეთის მერია აქამდეც მოქმედებდა და ახლაც კანონის შესაბამისად მოქმედებს, — გვითხრეს პრეს სამსახურში.

არაოფიციალური ინფორმაციით, პირამიდამ ოზურგეთში სხვადასხვა დროს ათი მილიონი ლარის ღირებულების პროექტი განახორციელა. ამ ეტაპზე ის რამდენიმე მილიონიან პროექტს — ტროტუარების რეაბილიტაცია და სხვა — ახორციელებდა.

„პირამიდის“ გაქცევამდე, ასევე არაოფიციალურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ოზურგეთის მერია კომპანიას დარჩენილი თანხის ჩარიცხვაზე უარს ეუბნებოდა და მისგან ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების მყარ გარანტიებს ითხოვდა, თუმცა, ზედა სახელისუფლებო ეშელონებიდან შემომავალმა ზარმა, ეს პრობლემა მოაგვარა და „პირამიდამ დარჩენილი 380 ათასი ლარი უპრობლემოდ მიიღო, რის შემდეგაც უკვალოდ გაქრა.

არაოფიციალური ინფორმაციით, ზარის ავტორმა „პირამიდისგან“ ქრთამის სახით ერთჯერადად 50 ათასი ლარი მიიღო.

რაც შეეხება ქალაქ ოზურგეთს, მას ხელმეორე ტენდერის გამოცხადება მოუწევს აღნიშნული სამუშაოების დასასრულებლად, თუმცა ვინაიდან და რადგანაც „პირამიდას“ ოფიციალურად, ქონების სახით არაფერი აბადია, მერიას თანხის მოძიებაც თავიდან მოუწევს.

თეა იოსელიანი, გურია

# გიორგი ჯაფარიძეს საქალაქო სასამართლომ პატიმრობა შეუფარდა



რუსთაველზე მომხდარი ავტოავარიის საქმეზე, რომლის შედეგადაც ახალგაზრდა ქალი დაიღუპა, თბილისის საქალაქო სასამართლომ განცხადება გაავრცელა.

როგორც ნიუპოსტს სასამართლოდან აცნობეს, 2017 წლის 3 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიამ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევისათვის ბრალდებულ გიორგი ჯაფარიძეს პატიმრობა შეუფარდა.

საქმეზე წინასასამართლო სხდომა 2017 წლის 23 მარტს, 12:30-ზე გაიმართება.

წარდგენილი ბრალის თანახმად, გიორგი ჯაფარიძეს ბრალად ედება ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევა იმის მიერ, ვინც ამ სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც გამოიწვია ორი ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება, ერთი ადამიანის ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ერთი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

საქმე ეხება 2017 წლის 24 იანვარს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მომხდარ შემთხვევას, როდესაც „მერსედესის“ მარკის ავტომობილის მძღოლმა, თანმხვედრად მიმავალი ავტომანქანის გასწრების მიზნით, გადაკვეთა ორმაგი უწყვეტი ღერძულა ხაზი. სავალი გზის საპირისპირო ზოლში გადასული შეეჯახა ორ ავტომანქანას, შედეგად გარდაიცვალა ერთი პირი და დაშავდა სამი მგზავრი.

სასამართლომ განიხილა წარმოდგენილი შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ სახეზეა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების როგორც ფორმალური, ასევე ფაქტობრივი საფუძვლები.

სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების შერჩევისას მხედველობაში მიიღო ბრალდებულის პიროვნება, მისი დამოკიდებულება კანონის მოთხოვნებისა და შეზღუდვებისადმი, დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის საფრთხეები.

ნიუპოსტი

# „ზოგიერთს გარეთ სცემეს, ზოგსაც — მანქანაში“

## ბათუმში პოლიციას ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებენ

ბათუმის ბულვარში პოლიციამ 7 ახალგაზრდა დააკავა.

დაკავებულების ახლობლები პოლიციას ფიზიკურ ძალადობაში ადანაშაულებენ. მათ უკვე მიმართეს გენერალურ ინსპექციას. ისინი სამართალდამცველების მხრიდან ძალის გადამეტების შესწავლასა და რეაგირებას მოითხოვენ.

ერთ-ერთი პირი, ვახტანგ ლომინაძე, აცხადებს, რომ ინციდენტისას მას თავში გაურკვეველი ნივთი მოხვდა.

— ბიჭების მიმართ იყო ხელით შეხება, ზოგიერთი გარეთ სცემეს, ზოგიც მანქანაში, როცა განყოფილებაში გადაჰყავდათ. წინააღმდეგობა არავის გაუწევია, უბრალოდ ბიჭებს შორის მოხდა ელემენტარული შელაპარაკება. ყველა ვაპირებდით სიტუაციის განეიტრალებას. პოლიცია რომ მოვიდა, ისინი აგრესიულად იქცეოდნენ, — აცხადებს ახალგაზრდა.

როგორც შს სამინისტროში ნიუპოსტს განუცხადეს, პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებას ადგილი არ ჰქონია.

უწყების ინფორმაციით, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ახალგაზრდები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. მათ ადგილზე მისულ პოლიციასაც გაუწიეს წინააღმდეგობა. მათივე თქმით შვიდივე პირი კანონის სრული დაცვით დააკავეს.



ბრალდებულები წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, 4 თებერვალს კი ბათუმის საქალაქო სასამართლოში პროცესი გაიმართა.

სასამართლომ შვიდივე პირი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.

# ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში შველი მოკლეს

4 თებერვალს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში შველი მოკლეს.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლევან თაბუნიძე ამ ფაქტის დეტალებზე საუბრობს.

— მიმდინარეობდა რეინჯერების შემოვლა გაისმა ძაღლების ყეფა. ერთ-ერთმა უფროსმა რეინჯერმა ნახა კვალი, შემდეგ სისხლის კვალიც გამოჩნდა. დაჭრილი შველი საავტომობილო ტრასაზე, ჩითახევის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩამოვარდა.

შველი ეროვნული პარკის ადმინისტრაციაში გადმოვიყვანეთ. მას გაეწია პირველადი დახმარება, ადგილზე დაუმუშავდა ჭრილობა, მაგრამ დღეს დილით მკვდარი დაგვხვდა. სავარაუდოდ, ნასროლი იყო საფანტი, რომელიც ორგანიზმში იშლება, — აღნიშნა ლევან თაბუნიძემ.

შვლის მოკვლის შესახებ ინფორმაცია შემდგომი რეაგირების მიზნით, ბორჯომის შსს-ს განყოფილებას გადაეცა. მომხდარზე, სავარაუდოდ, მოკვლევა დაიწყება.

თაბუნიძის ცნობით, ყოველწლიური სტატისტიკის მიხედვით, ბრაკონიერობის ფაქტები მცირდება, რაც რეინჯერების მუშაობითა და დაცვის სისტემით არის გამოწვეული, თუმცა, ასეთ შემთხვევებს მაინც აქვს ადგილი.

— ეროვნულ პარკში ნადირობის წესების დაუცველობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის დარღვევაა, რაც ითვალისწინებს დაჯარიმებას 500-დან 700 ლარამდე იარაღის კონფისკაციით ან უამისოდ.

გასული წლის სტატისტიკის მიხედვით, ჩვენ მიერ ასეთი არაერთი ფაქტი გამოვლინდა, თუმცა აღსანიშნავია, რომ როდესაც ადმინისტრაციული საქმე სასამართლომდე მიდის, უმეტეს შემთხვევაში განაჩენად სიტყვიერი შენიშვნა დგება. ესეც ერთგვარ მოტივაციად შეიძლება განვიხილოთ, — განაცხადა ლევან თაბუნიძემ.

ინტერპრესნიუსი

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# სასამართლო ტრამპის წინააღმდეგ



4 თებერვალს სიეტლის ფედერალურმა სასამართლომ შეაჩერა პრეზიდენტ ტრამპის განკარგულება რიგი მუსლიმანური სახელმწიფოდან აშშ-ში ემიგრაციის შეზღუდვის შესახებ.

ტრამპმა ამის გამო გაღიზიანება ვერ დამალა.

– ეს სასაცილო და უსარგებლო გადაწყვეტილებაა! მოსამართლეს, რომელმაც ასეთი გადაწყვეტილება მიიღო, ეტყობა, დაწყებითი სკოლაც არ დაუმთავრებია, – დაწერა პრეზიდენტმა ტვიტერში.

თეთრი სახლის ახალმა ლიდერმა სიეტლის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა და საიმიგრაციო განკარგულების მოქმედების აღდგენა მოითხოვა.

აშშ-ის სააპელაციო სასამართლომ ტრამპის ადმინისტრაციის ეს სარჩელი არ დააკმაყოფილა.

ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ქვეყანაში ანულირებული ვიზების აღდგენა დაიწყო. მიგრანტების აკრძალვის განკარგულების გაცემის მომენტიდან, ჯამში, 100 ათასი ამერიკული ვიზა გაუქმდა.

თეთრ სახლში უკვე განმარტეს, რომ პრეზიდენტის განკარგულება კანონიერი და მიზანმიმართულია, მიზნად კი ქვეყნისა და მისი მოქალაქეების დაცვას ისახავს. აღნიშნული განკარგულება პრეზიდენტმა ტრამპმა 27 იანვარს გამოსცა.

აშშ-ის უსაფრთხოების სამინისტრომ გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას ემორჩილება.

– კანონზე მაღლა ამერიკაში ვერავინ დადგება, მათ შორის თვით პრეზიდენტიც კი! – განაცხადა ვაშინგტონის ფედერალურმა პროკურორმა ფერგიუსონმა.

# თურქეთში 400-ზე მეტი ადამიანი დააკავეს

5 თებერვალს, გამთენიისას, თურქეთში დიდი სპეცოპერაცია ჩატარდა, რომლის შედეგად 423 ადამიანი დააკავეს. მათ ისლამურ სახელმწიფოსთან კავშირი ედებათ ბრალად.




დაკავების ოპერაციები ჩატარდა სტამბოლსა და გაზიანტეპში, რომელიც სირიის საზღვრის სიახლოვეს მდებარეობს.

ყველაზე მასშტაბური ოპერაცია თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, პროვინცია შანლიურფაში ჩატარდა, სადაც პოლიციამ 150-ზე მეტი ეჭვმიტანილი დააკავა. დაკავებულების ჩხრეკისას ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებული მასალები ამოიღეს.

მანამდე კი დედაქალაქ ანკარაში პოლიციამ 60 ადამიანი დააკავა. სტამბოლში 18 ადამიანი დააკავეს, რომელთაგან 14 უცხოელია. მათ შორის 10 ბავშვია.

თურქული მედიის ცნობით, დაკავებულთაგან, სულ მცირე, 8 ადამიანი ტერაქტებს ამზადებდა.

# დოდონი დნესტრისპირეთს განსაკუთრებულ სტატუსს მიანიჭებს




მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა იგორ დოდონმა განაცხადა, რომ მზადაა, დაიწყოს მოლაპარაკებები დნესტრისპირეთისთვის ერთიანი მოლდოვის ფარგლებში განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების შესახებ.

– ეს მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი საშუალებაა, – აცხადებს დოდონი.

# პოროშენკო ამერიკაში ჩავა



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ტელეფონით თავის უკრაინელ კოლეგა პეტრო პოროშენკოს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა აშშ-უკრაინის ურთიერთობები, აგრეთვე დონბასში განვითარებული პროცესები იყო.

ტრამპმა უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სრული მხარდაჭერა გამოთქვა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ დონბასში სიტუაციის დარეგულირება პოლიტიკურ-დიპლომატიური მეთოდებით უნდა მოხდეს. განიხილეს აგრეთვე პეტრო პოროშენკოს აშშ-ში ვიზიტის დეტალები.

ამ ვიზიტის მომზადება უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრს დაევალა.

# რუმინეთის მთავრობამ უკან დაიხია

რუმინეთში საპროტესტო აქციები გრძელდება.

მთავრობის გადაწყვეტილებამ, შეეწყალებინა კორუფციონერები, ქუჩაში 230.000 ადამიანი გამოიყვანა.



პრემიერმა გრინდიანუმ განაცხადა, რომ თავის განკარგულებას გააუქმებს.

– ახლა მთავარია, მშვიდობა აღდგეს, – თქვა გრინდიანუმ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# უნიტაზში ჩაყრილმა დოლარებმა ინსტაგრამი ააღელვა



ინსტაგრამის ერთ-ერთმა მომხმარებელმა გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ის დემონსტრაციულად უშვებს კანალიზაციაში 20-დოლარიანი კუპიურების შეკვრას.

ინტერნეტში გამოქვეყნებულ კადრებში ახალგაზრდა სარკის წინ პოზიორობს და ხელში ფულის შეკვრა უჭირავს. შემდეგ ის დაახლოებით 320 დოლარს გადაითვლის და მათ უნიტაზში ყრის.

ამ ვიდეორგოლმა სოციალური ქსელის მომხმარებლების მწვავე რეაქცია გამოიწვია. ბევრს ეჭვი შეეპარა ვიდეოს ავტორის სიმდიდრეში, ვინაიდან ის მოძველებული სმარტფონითაა გადაღებული, რომელიც წარმოებიდან ჯერ კიდევ 2013 წელს მოიხსნა. სხვების აზრით კი კუპიურები, უბრალოდ, ყალბია.

# ახალ ზელანდიაში როდეოზე ცხვრის ტყავში გადაცმული ადამიანები იასპარეზებენ



ახალ ზელანდიაში გაიმართება როდეო, რომელზეც ცხოველებს ცხვრის კოსტიუმებში გამოწყობილი ადამიანები შეცვლიან. შეჯიბრების ორგანიზატორებმა ასეთი ნაბიჯის გადადგმა იმის გამო გადაწყვიტეს, რომ ქვეყანაში ასეთ ღონისძიებებზე ნამდვილი ცხვრების გამოყვანა აკრძალულია.

2015 წელს ღონისძიების მომწყობებმა შეიტყვეს, რომ ცხვრების დევნა, რომელიც როდეოს ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენას წარმოადგენს, ეწინააღმდეგება წესებს, რომელიც ახალი ზელანდიის ძირითადი მრეწველობის სამინისტრომ შეიმუშავა. მას შემდეგ ისინი წარმოქმნილი პრობლემის გადაწყვეტის ძიებაში არიან.

გასულ წელს შეეცადნენ, ცხოველები ბეწვგადაკრული ტომრებით შეეცვალათ, რომლებსაც თოკებით მასხარები დაათრევდნენ. ამ ექსპერიმენტმა არ გაამართლა. ასე რომ, წელს სხვა ვარიანტს გამოცდიან: მოედანზე ცხვრის ტყავში გამოწყობილი ადამიანები გამოვლენ.

# არგენტინაში წყალზე ტივტივის რეკორდის მოხსნა ცადეს



1941 ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი შეეცადა, წყალზე მოტივტივე ადამიანების რაოდენობის რეკორდი დაემყარებინა. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ინტერნეტში იქნა გამოქვეყნებული.

აქციის მონაწილეებმა რეკორდის დამყარება არგენტინის მარილიან ტბა ელეკუენში ცადეს. ისინი ერთმანეთზე ხელებით იყვნენ ჩაჭიდებულნი და ეხმარებოდნენ, რომ სანახევროდ წყლის ზევით დარჩენილიყვნენ.

ეს ღონისძიება ყოველწლიური ტერმინალური ტურიზმის ფესტივალის ნაწილად იქცა. მოხერხდა თუ არა რეკორდის დამყარება, მხოლოდ ორი თვის შემდეგ გახდება ცნობილი.

ადრინდელი მიღწევა 2014 წელს ტაივანში დაფიქსირდა, როდესაც ტბა სან მუნ ლეიკში წყალზე ერთდროულად 634 ადამიანი ტივტივებდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# მალამო „მენტორი პირველი“

**ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.**

**გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.**

☎ 599-73-48-21.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები მსოფლიოსთვისაც იბრძოლებს




მიმდინარე წელი საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისთვის მხოლოდ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპით არ შემოიფარგლება.

საქმე ის არის, რომ 2017 წლის ბოლოდან ფიბა სრულიად ცვლის საკონტინენტო და მსოფლიო ჩემპიონატების სისტემას. ცვლილება შეეხება როგორც ტურნირების გამართვის პერიოდულობას, ასევე მასში მოხვედრის სისტემას.

სწორედ ახალ სისტემაზე გადასვლას უკავშირდებოდა ის სამუშაო კონფერენცია, რომელიც ფიბა-მ გერმანიის ქალაქ მიუნხენში თავისი წევრი ქვეყნებისთვის ჩაატარა და რომელსაც საქართველოს დელეგაციაც დაესწრო.

კალათბურთი ბრუნდება სახლში – ესაა ლოზუნგი იმ ახალი სისტემისა, რომელიც 2017 წლის ნოემბრიდან ამოქმედდება.

მთავარი პრინციპი გახლავთ ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ცალკე შესარჩევი ტურნირი გაიმართება. აქამდე მსოფლიოს პირველობაზე გუნდები კონტინენტურ ჩემპიონატებში ნაჩვენები შედეგებით ხვდებოდნენ. საქართველო ან ნებისმიერი ევროპული ნაკრები მუნდიალზე რომ გასულიყო, ევრობასკეტზე საუკეთესოთა შორის უნდა მოხვედრილიყო.

ცვლილების შედეგად, ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსად, 4 წელიწადში ერთხელ გაიმართება. 2017 წლის 31 აგვისტოდან 17 სექტემბრის ჩათვლით 2-წლიანი ინტერვალის ბოლო ევრობასკეტი ჩატარდება, რის შემდეგაც, ნოემბერში სტარტს აიღებს მსოფლიოს 2019 წლის შესარჩევი ტურნირი. ეროვნულ ნაკრებებს საშინაო თამაშების გამართვა მოუწევთ ფიბა-ს მიერ შემოდგომასა და გაზაფხულზე სპეციალურად დაწესებული ფანჯრების პერიოდში. ამ სისტემას ახლავს ბევრი დეტალი და ნიუანსი, რომელსაც მიუნხენში გამართული კონფერენცია მიეძღვნა.

მსოფლიოს 2019 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის კენჭისყრა მიმდინარე წლის 7 მაისს ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში გაიმართება.

საკვალიფიკაციო მატჩები ორ ეტაპად ჩატარდება. შესარჩევის პირველ სტადიაზე ევროპის 32 ნაკრები ითამაშებს. ევროპიდან მსოფლიოს 2019 წლის მუნდიალზე 12 ქვეყანა იასპარეზებს. 2019 წლის პლანეტის ჩემპიონატს ჩინეთის ქალაქები შანხაი, ვუჰანი, გუანჯოუ, ნანკინი და პეკინი უმასპინძლებენ.

# თბილისს ევროპის ლიგის ფინალის მასპინძლობა სურს




2019 წლის ევროპის ლიგის ფინალი, შესაძლოა, თბილისში ვიხილოთ. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი რანგით მეორე ევროპული საკლუბო ტურნირის ფინალის მასპინძლობისთვის იბრძოლებს.

თბილისს კონკურენტები მრავლად ჰყავს – მის გარდა, ფინალური შეხვედრის ჩატარებისთვის კიდევ 6 კანდიდატი იბრძოლებს: ბაქო, გლაზგო, სტამბოლი, სევილია, ფრანკფურტი და შტუტგარტი.

აქვე გეტყვით, რომ 2019 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძლობისთვის იბრძოლებს ორი ქალაქი: ბაქო და მადრიდი.

გადაწყვეტილებას უეფას აღმასკომი წელს სექტემბერში გამოაცხადებს.

შეგახსენებთ, რომ თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის დინამო არენაზე 2015 წლის უეფას სუპერთასის მატჩი გაიმართა – ბარსელონა-სევილია. ეს მატჩი ძალიან კარგად იყო ორგანიზებული და საქართველომ თავი არ შეირცხვინა. თუმცა, რამდენად მოგვცემს უეფა ასეთ მოკლე დროში კიდევ ერთი ფინალის ჩატარების უფლებას, ამას სექტემბერში გავიგებთ.

# შედეგები

## 4 იანვარი

### ფეხბურთი

**აფრიკის ერთა თასი**

ბურკინა ფასო-განა ...... 1:0

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ჩელსი-არსენალი ...... 3:1
კრ.პალასი-სანდერლენდი ...... 0:4
ევერტონი-ბორნმუთი ...... 6:3
ჰალი-ლივერპული ...... 2:0
საუთჰემპტონი-ვესტ ჰემი ...... 1:3
უოტფორდი-ბარნლი ...... 2:1
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი ...... 1:0
ტოტენჰემი-მიდლსბრო ...... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 24 | 19 | 2 | 3 | 51-17 | 59 |
| 2.ტოტენჰემი | 24 | 14 | 8 | 2 | 46-16 | 50 |
| 3.არსენალი | 24 | 14 | 5 | 5 | 52-28 | 47 |
| 4.ლივერპული | 24 | 13 | 7 | 4 | 52-30 | 46 |
| 5.სიტი | 23 | 14 | 4 | 5 | 47-28 | 46 |
| 6.მანჩესტერი | 23 | 11 | 9 | 3 | 33-21 | 42 |
| 7.ევერტონი | 24 | 11 | 7 | 6 | 40-27 | 40 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 24 | 10 | 6 | 8 | 32-29 | 36 |
| 9.ვესტ ჰემი | 24 | 9 | 4 | 11 | 32-41 | 31 |
| 10.უოტფორდი | 24 | 8 | 6 | 10 | 29-40 | 30 |
| 11.სტოკი | 24 | 7 | 8 | 9 | 29-36 | 29 |
| 12.ბარნლი | 24 | 9 | 2 | 13 | 26-35 | 29 |
| 13.საუთჰემპტონი | 24 | 7 | 6 | 11 | 24-31 | 27 |
| 14.ბორნმუთი | 24 | 7 | 5 | 12 | 35-47 | 26 |
| 15.მიდლსბრო | 24 | 4 | 9 | 11 | 19-27 | 21 |
| 16.ლესტერი | 23 | 5 | 6 | 12 | 24-38 | 21 |
| 17.სუონსი | 23 | 6 | 3 | 14 | 28-52 | 21 |
| 18.ჰალი | 24 | 5 | 5 | 14 | 22-47 | 20 |
| 19კრ.პალასი | 24 | 5 | 4 | 15 | 32-45 | 19 |
| 20.სანდერლენდი | 24 | 5 | 4 | 15 | 24-42 | 19 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-პრესტონი ...... 0:0
ბარტონი-ვულვზი ...... 2:1
ბირმინგემი-ფულემი ...... 1:0
ბლექბერნი-ქპრ ...... 1:0
ბრისტოლი-როტერჰემი ...... 1:0
იფსვიჩი-რედინგი ...... 2:2
კარდიფი-ნორვიჩი ...... 0:1
ნიუკასლი-დერბი ...... 1:0
ნოტინგემი-ასტონ ვილა ...... 2:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

მალაგა-ესპანიოლი ...... 0:1
ბარსელონა-ბილბაო ...... 3:0
ატლეტიკო-ლეგანესი ...... 2:0
ვალენსია-ეიბარი ...... 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 19 | 14 | 4 | 1 | 51-17 | 46 |
| 2.ბარსელონა | 21 | 13 | 6 | 2 | 55-18 | 45 |
| 3.სევილია | 20 | 13 | 3 | 4 | 43-28 | 42 |
| 4.ატლეტიკო | 21 | 11 | 6 | 4 | 36-16 | 39 |
| 5.სოსიედადი | 20 | 11 | 2 | 7 | 31-28 | 35 |
| 6.ვილიარეალი | 20 | 9 | 7 | 4 | 28-14 | 34 |
| 7.ეიბარი | 21 | 9 | 5 | 7 | 32-29 | 32 |
| 8.ესპანიოლი | 21 | 8 | 8 | 5 | 29-27 | 32 |
| 9.ბილბაო | 21 | 9 | 5 | 7 | 26-25 | 32 |
| 10.სელტა | 20 | 9 | 3 | 8 | 31-33 | 30 |
| 11.ლას პალმასი | 20 | 7 | 7 | 6 | 31-31 | 28 |
| 12.ალავესი | 20 | 5 | 9 | 6 | 17-20 | 24 |
| 13.ბეტისი | 20 | 6 | 5 | 9 | 21-31 | 23 |
| 14.მალაგა | 21 | 5 | 7 | 9 | 28-35 | 22 |
| 15.დეპორტივო | 20 | 4 | 7 | 9 | 25-32 | 19 |
| 16.ვალენსია | 20 | 5 | 4 | 11 | 29-40 | 19 |
| 17.ლეგანესი | 21 | 4 | 6 | 11 | 15-35 | 18 |
| 18.ხიხონი | 20 | 3 | 4 | 13 | 20-39 | 13 |
| 19.ოსასუნა | 20 | 1 | 7 | 12 | 21-43 | 10 |
| 20.გრანადა | 20 | 1 | 7 | 12 | 16-44 | 10 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ალკორკონი-ნუმანსია ...... 2:3
ლუგო-კორდობა ...... 1:0
ტენერიფე-ელჩე ...... 2:0
კადისი-მირანდესი ...... 2:1
უესკა-სარაგოსა ...... 2:3

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-შალკე ...... 1:1
გლადბახი-ფრაიბურგი ...... 3:0
ჰერტა-ინგოლშტადტი ...... 1:0
კიოლნი-ვოლფსბურგი ...... 1:0
ჰოფენჰაიმი-მაინცი ...... 4:0
დორტმუნდი-ლაიპციგი ...... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 19 | 14 | 4 | 1 | 43-12 | 46 |
| 2.ლაიპციგი | 19 | 13 | 3 | 3 | 36-17 | 42 |
| 3.დორტმუნდი | 19 | 9 | 7 | 3 | 39-21 | 34 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 19 | 8 | 10 | 1 | 35-19 | 34 |
| 5.ჰერტა | 19 | 10 | 3 | 6 | 27-21 | 33 |
| 6.კიოლნი | 19 | 8 | 8 | 3 | 28-16 | 32 |
| 7.აინტრახტი | 18 | 9 | 5 | 4 | 23-15 | 32 |
| 8.ფრაიბურგი | 19 | 8 | 2 | 9 | 24-33 | 26 |
| 9.ლევერკუზენი | 19 | 7 | 3 | 9 | 28-29 | 24 |
| 10.გლადბახი | 19 | 6 | 5 | 8 | 21-27 | 23 |
| 11.შალკე | 19 | 6 | 4 | 9 | 22-21 | 22 |
| 12.მაინცი | 19 | 6 | 4 | 9 | 27-35 | 22 |
| 13.აუგსბურგი | 18 | 5 | 6 | 7 | 15-20 | 21 |
| 14.ვოლფსბურგი | 19 | 5 | 4 | 10 | 17-27 | 19 |
| 15.ვერდერი | 18 | 4 | 4 | 10 | 22-38 | 16 |
| 16.ჰამბურგი | 19 | 4 | 4 | 11 | 16-35 | 16 |
| 17.ინგოლშტადტი | 19 | 4 | 3 | 12 | 17-30 | 15 |
| 18.დარმშტადტი | 18 | 2 | 3 | 13 | 12-36 | 9 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ზანფჰაუზენი-აუე ...... 2:0
ჰაიდენჰაიმი-ნიურნბერგი ...... 2:3

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ნაპოლი ...... 1:7

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 21 | 17 | 0 | 4 | 44-16 | 51 |
| 2.ნაპოლი | 23 | 14 | 6 | 3 | 55-26 | 48 |
| 3.რომა | 22 | 15 | 2 | 5 | 44-21 | 47 |
| 4.ინტერი | 22 | 13 | 3 | 6 | 37-23 | 42 |
| 5.ლაციო | 22 | 12 | 4 | 6 | 35-25 | 40 |
| 6.ატალანტა | 22 | 12 | 3 | 7 | 34-25 | 39 |
| 7.მილანი | 21 | 11 | 4 | 6 | 32-26 | 37 |
| 8.ფიორენტინა | 22 | 10 | 7 | 5 | 38-29 | 37 |
| 9.ტორინო | 22 | 8 | 7 | 7 | 39-32 | 31 |
| 10.უდინეზე | 22 | 8 | 4 | 10 | 27-29 | 28 |
| 11.კიევო | 22 | 8 | 4 | 10 | 22-30 | 28 |
| 12.სამპდორია | 22 | 7 | 6 | 9 | 25-29 | 27 |
| 13.ბოლონია | 22 | 7 | 6 | 9 | 22-33 | 27 |
| 14.კალიარი | 22 | 8 | 3 | 11 | 32-46 | 27 |
| 15.ჯენოა | 22 | 6 | 7 | 9 | 27-32 | 25 |
| 16.სასუოლო | 22 | 7 | 3 | 12 | 31-37 | 24 |
| 17.ემპოლი | 22 | 5 | 6 | 11 | 13-30 | 21 |
| 18.კროტონე | 21 | 3 | 4 | 14 | 20-37 | 13 |
| 19.პალერმო | 22 | 2 | 5 | 15 | 18-42 | 11 |
| 20.პესკარა | 22 | 1 | 6 | 15 | 17-44 | 9 |

**იტალია. სერია ბ**

სპალი-ასკოლი ...... 1:1
პერუჯა-ბრეშა ...... 3:2
ლატინა-ფროზინონე ...... 0:1
სალერნიტანა-ნოვარა ...... 0:0
ჩიტადელა-პრო ვერჩელი ...... 0:0
პიზა-ენტელა ...... 1:1
სპეცია-ტერნანა ...... 2:0
ბარი-ვიჩენცა ...... 2:1

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-ნიცა ...... 3:0
ბორდო-რენი ...... 1:1
ლილი-ლორიანი ...... 0:1
მონპელიე-ბასტია ...... 2:1
დიჟონი-პსჟ ...... 1:3
გენგამი-კაენი ...... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 23 | 16 | 4 | 3 | 68-22 | 52 |
| 2.პსჟ | 23 | 15 | 4 | 4 | 45-17 | 49 |
| 3.ნიცა | 23 | 14 | 7 | 2 | 38-18 | 49 |
| 4.ლიონი | 21 | 12 | 1 | 8 | 40-25 | 37 |
| 5.სტ.ეტიენი | 22 | 8 | 9 | 5 | 24-18 | 33 |
| 6.მარსელი | 23 | 9 | 6 | 8 | 29-28 | 33 |
| 7.ბორდო | 23 | 8 | 9 | 6 | 25-28 | 33 |
| 8.გენგამი | 23 | 8 | 7 | 8 | 28-27 | 31 |
| 9.რენი | 23 | 8 | 7 | 8 | 23-27 | 31 |
| 10.ტულუზა | 22 | 7 | 5 | 10 | 22-26 | 26 |
| 11.ლილი | 23 | 7 | 5 | 11 | 21-28 | 26 |
| 12.მონპელიე | 23 | 6 | 8 | 9 | 32-40 | 26 |
| 13.ნანტი | 22 | 7 | 5 | 10 | 15-29 | 26 |
| 14.კაენი | 22 | 7 | 4 | 11 | 25-36 | 25 |
| 15.დიჟონი | 23 | 5 | 9 | 9 | 31-35 | 24 |
| 16.ნანსი | 21 | 6 | 6 | 9 | 16-25 | 24 |
| 17.მეცი | 22 | 7 | 5 | 10 | 22-38 | 24 |
| 18.ანჟე | 22 | 6 | 5 | 11 | 19-28 | 23 |
| 19.ბასტია | 23 | 5 | 7 | 11 | 20-28 | 22 |
| 20.ლორიანი | 23 | 6 | 3 | 14 | 26-46 | 21 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ოსერი-ორლეანი ...... 0:2
ბრესტი-სოშო ...... 2:0

**ჰოლანდია. ეჰედივიზიონი**

ნაიმეგენი-იგლზი ...... 1:2
ალკმაარი-პსვ ...... 2:4
ტილბურგი-ერაკლესი ...... 1:3
გრონინგენი-ექსელსიორი ...... 1:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

შავიში-ბოავიშტა ...... 0:0

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

მოზერველი-ჰართსი ...... 0:3
აბერდინი-პარტიკი ...... 2:0
ჰამილტონი-კილმანროკი ...... 1:1
ინვერნესი-დანდი ...... 2:2
რეინჯერსი-როსი ...... 1:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

გრასჰოპერსი-თუნი ...... 0:1
ბაზელი-ლუგანო ...... 4:0

**ბელგია. 1 დივიზიონი**

სტანდარდი-კორტრაიკი ...... 0:3
გენკი-მუსკრონი ...... 1:0
ეუპენი-ბევერენი ...... 0:2
ოსტენდე-მეხელენი ...... 2:0

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-კერკირა ...... 1:1
პანეთოლიკოსი-ატრომიტოსი ...... 2:0
იანინა-პანათინაიკოსი ...... 1:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# დინამო ისევ დაუმარცხებელია, პლეი ოფისთვის ბრძოლა დაიძაბა

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**დინამო-ოლიმპი 82:64**
**(22:8, 29:16, 18:20, 13:20)**

ჩემპიონატის დაუმარცხებელმა გუნდმა ერთ-ერთ აუტსაიდერს უმასპინძლა და ისე იმარჯვა, პრობლემა არ შეჰქმნია.



მატჩის ბედი, ფაქტობრივად, პირველ ნახევარში გადაწყდა, რომელიც დინამოელთა სასარგებლოდ – 51:24 დასრულდა. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილი დინამოელები ყველა კომპონენტში მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ, რაც შედეგზე მკაფიოდ აისახა.

როცა მეოთხე პერიოდში დინამოელთა უპირატესობამ 29 ქულას მიაღწია, ოლიმპს იმედი გადაეწურა და თამაშში სათადარიგოები ჩაერთვნენ. საბოლოოდ დინამომ 82:64 იმარჯვა და სუპერლიგის ლიდერობა კიდევ უფრო გაიმყარა.

გამარჯვებულთაგან 21 ქულით ბომბარდირი გახდა ნოდარ გოგოძე, 15 ქულა მიითვალა ილია ლონდარიძემ, ხოლო 13 ქულა მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე დაგროვდა. ოლიმპში 14 ქულით საუკეთესო იყო უოლტერ პიჩფორდი, 12 ქულა ახალწვეულმა ნიკოლას შლიტცერმა მიითვალა, ტრე ბურნეთის ანგარიშზე კი ორმაგი დუბლი – 11 ქულა და 10 მოხსნა დაგროვდა.

**კაკტუსი-ქუთაისი 66:81**
**(19:20, 21:17, 12:23, 14:21)**

კაკტუსი ბოლო მეოთხედამდე უძალიანდებოდა მეტოქეს, მაგრამ ქუთაისელებმა დამაჯერებლად ჩაატარეს დასკვნითი ნაწილი და გამარჯვება მოიპოვეს.

იმერული კლუბი სერიოზული დანაკლისით თამაშობდა – ქუთაისს ძირითადი გამთამაშებელი, გიორგი ცინცაძე აკლდა, რომელმაც ვარჯიშზე კუნთი გაიწყვიტა და უცნობია, რამდენ ხანში შეძლებს მოედანზე დაბრუნებას.

პირველი ტაიმი თანაბარი გამოდგა. ძირითადად ქუთაისელები ლიდერობდნენ, თუმცა მცირედით და პერიოდულად კაკტუსიც ახერხებდა დაწინაურებას. ერთ-ერთი ასეთი ეპიზოდი დიდ შესვენებას დაემთხვა, რომელზეც კაკტუსელები 3-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 40:37.

მესამე პერიოდში ვითარება შეიცვალა. ქუთაისმა მოახერხა თამაშის დალაგება და პერიოდიც 23:12 მოიგო. ბოლო მეოთხედში ქუთაისმა ლიდერობის შენარჩუნება მოახერხა და გამარჯვებამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მივიდა. საბოლოოდ იმერულმა კლუბმა 81:66 მოიგო, რაც გუნდური თამაშის დამსახურება გახლდათ.

19 ქულით ქუთაისელთაგან დრაგან ტუბაკი გამოირჩა. 12-12 ქულა დააგროვეს გიორგი ბარბაქაძემ და ზაურ ფაშაევმა.

რაც შეეხება კაკტუსელებს, 18 ქულითა და ამდენივე მოხსნით საუკეთესო იყო ჯონ ფლორვეუსი.

**სოხუმი-რუსთავი 80:76**
**(26:13, 14:29, 23:14, 17:20)**

ორივე გუნდმა ბოლო დღეებში შევსება მიიღო: რუსთაველებმა ამერიკელი ლეგიონერი მორის ბრიგსი დაიმატეს, ხოლო სოხუმმა – უკრაინელი მთავარი მწვრთნელი, ვიტალი ჩერნიი და ამერიკელი უკანახაზელი რობერტ ვუდსონი.

მატჩი მთლიანობაში თანაბარი გამოვიდა, თუმცა პირველ პერიოდში სოხუმელებს ხელჩასაჭიდი უპირატესობა ჰქონდათ, რომელიც მეორეში სოხუმმა გააბათილა და თამაშის ბოლომდე თანაბარი ორთაბრძოლა გაჩაღდა.

დიდ შესვენებაზე რუსთავი 42:40 იგებდა, თუმცა დუეინ ლათანისა და დავით ბარბაქაძის შედეგიანობით სოხუმმა ათწუთეული 23:14 მოიგო და გადამწყვეტი პერიოდის წინ 7 ქულით დაწინაურდა.

რუსთავი არ დანებდა, ბოლომდე იბრძოლა, ქეისი კასპერბაუერის სამქულიანების წყალობით მატჩის ბოლო წუთზე ჩამორჩენა 1 ქულამდე შეამცირა და ბურთის ფლობის უფლებაც მოიპოვა.

გადამწყვეტ შეტევაში ფარისკენ წასულ ჩარლი ლის სოხუმელმა მცველებმა დაუფარეს, სოხუმელმა დავით ბარბაქაძემ კი საფინალო სირენის თანხლებით სამქულიანი ჩააგდო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა.

სოხუმში 21 ქულით ბომბარდირი ლათანი გახდა. 17 ქულა მიითვალა ალექსანდრ ტიშჩენკომ, ოთარ ბულიავას ანგარიშზე კი 16 ქულა დაგროვდა.

რუსთავში 18 ქულითა და 13 მოხსნით საუკეთესო იყო სერგო ათუაშვილი. 16 ქულა მიითვალა მორის ბრიგსმა.

სოხუმისთვის ეს იყო სუპერლიგაში მოპოვებული მე-7 გამარჯვება, რისი წყალობითაც ვიტალი ჩერნიის გაწვრთნილმა გუნდმა ცხრილში მე-4 ადგილზე აინაცვლა და პლეი ოფის ზონაში შევიდა.

**მგზავრები-ბათუმი 99:60**
**(24:21, 25:16, 23:7, 27:16)**

თანაბარი მხოლოდ პირველი მეოთხედი გამოდგა, როცა გუნდები ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს. მგზავრებმა პერიოდის მიწურულს მოახერხეს მცირედით დაწინაურება – 24:21.

მეორე მეოთხედში კარგი დაცვისა და სწრაფი შეტევის ხარჯზე თბილისელებმა თამაშის სადავეები ხელთ იპყრეს და დიდ შესვენებამდე ლიდერობა 12 ქულამდე გაზარდეს – 49:37.

ბათუმმა მეორე ტაიმში ვერაფერი შეცვალა, რაც მგზავრების გამართული თამაშის დამსახურება გახლდათ. მასპინძელთა ლიდერობის ზრდა ბოლო წუთებამდე გაგრძელდა – მგზავრების უპირატესობამ 20 ქულას, ბოლო პერიოდში კი 30-ს გადააჭარბა. საბოლოოდ კი თბილისელებმა 99:60 მოიგეს და ჩემპიონატში მეორე გამარჯვება მოიპოვეს.

მგზავრებს 27 ქულით კაშიმ რენსომმა ულიდერა, 15 ქულა და 9 მოხსნა რეჯინალდ მერფის ანგარიშზე დაგროვდა. 13 ქულითა და 8 პასით დაასრულა შეხვედრა კორი ალენმა.

ბათუმელთაგან საუკეთესო იყო კახა ჯინჭარაძე, რომელმაც 19 ქულა მოაგროვა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 15 | 15 | 0 | 1328-1057 | 30 |
| 2.ქუთაისი | 15 | 12 | 3 | 1218-1125 | 27 |
| 3.რუსთავი | 15 | 8 | 7 | 1172-1204 | 23 |
| 4.სოხუმი | 15 | 7 | 8 | 1273-1284 | 22 |
| 5.კაკტუსი | 15 | 6 | 9 | 1203-1293 | 21 |
| 6.ბათუმი | 15 | 6 | 9 | 1151-1169 | 21 |
| 7.ოლიმპი | 15 | 4 | 11 | 1029-1102 | 18 |
| 8.მგზავრები | 15 | 2 | 13 | 1090-1230 | 17 |

**შენიშვნა:** ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რევმატიზმი და ართრიტი — დაავადებები, რომლებსაც არ უნდა წავუყრუოთ

ეკა ირემაშვილი

რევმატოლოგიური დაავადებების კლასიფიკაციაში 200-ზე მეტი დაავადებაა გაერთიანებული, როგორც არაანთებითი, ასევე ანთებითი გენეზის, ამიტომაც პირველივე სასიგნალო სიმპტომი ნებისმიერმა ადამიანმა ყურადღების მიღმა არ უნდა დატოვოს.

რა არის რევმატიზმი და ართრიტი? — ამ თემებზე ექიმი რევმატოლოგი ნინო დვალიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.



ნინო დვალიშვილი

**ნინო დვალიშვილი:**

— რევმატული დაავადებები მოიცავს დიდ ჯგუფს დაავადებებისას, სხვადასხვა ტიპის ართრიტებით დაწყებული, ოსტეოპოროზითა და შემაერთებელი ქსოვილის სისტემური დაავადებებით დამთავრებული. კლასიკური გაგებით ტერმინი „რევმატიზმი“ უკვე აღარ გამოიყენება და ის გულისხმობს ართრიტს, რომელიც გამოწვეულია ბეტა-ჰემოლიზური სტრეპტოკოკით, ანუ ეს ინფექციური გენეზის ართრიტია.

თანამედროვე კლასიფიკაციით, ის იწოდება, როგორც მწვავე რევმატული ცხელება ან გულის ქრონიკული რევმატული დაავადება. კლასიფიკაციაში გვხდება ასევე სტრეპტოკოკული წარმოშობის ართრიტის სახითაც.

***— რა სიმპტომები ახასიათებს ამ დაავადებას?***

— პირველ რიგში, კავშირი ინფექციასთან. მწვავე ტონზილიტის, ფარინგიტის შემდეგ, შესაძლოა, განვითარდეს მწვავე რევმატული ცხელება, ტემპერატურის მატებით, სახსრების ტკივილით, კარდიტით, კანქვეშა კვანძების წარმოქმნითა და ნევროლოგიური გამოვლინებებით. ამ დროს საჭირო ხდება მკურნალობის სქემაში ანტიბიოტიკების ჩართვა.

***— რა დაავადებაა რევმატიზმი, რომლითაც ასაკოვანი ადამიანები ასე ხშირად ავადდებიან?***

— ის, რასაც მოსახლეობაში ეძახიან „რევმატიზმსა“ და „მარილების დაგროვებას“. ამ ტერმინებში უფრო მეტად იგულისხმება ოსტეოართროზი, რომელიც ასაკთან ერთად ვითარდება და მისი გამომწვევი მიზეზები სრულიად განსხვავებულია ჭეშმარიტი „რევმატიზმისგან“. ეს არის დეგენერაციული პროცესები ხრტილოვან ქსოვილში, რასაც ხელს უწყობს ზედმეტი და არასწორი ფიზიკური დატვირთვა, ტრავმა, არაბალანსირებული კვება, ჭარბი წონა, თამბაქოს, ალკოჰოლის, ჩაის, ყავის ჭარბი მიღება, ჰორმონალური გადაწყობა. ართროზის დროს მიმდინარეობს დეგენერაციული ცვლილებები ხრტილოვან ქსოვილში, ხდება მისი დათხელება, განლევა და კომპენსატორულად წანაზარდების — ოსტეოფიტების წარმოქმნა, რასაც „მარილებს“ ეძახიან. ის მეტად აზიანებს მსხვილ სახსრებს — მენჯ-ბარძაყის, მუხლის, მხრის, თუმცა ახასიათებს მტევნის დისტალური და პროქსიმალური ფალანგთაშორისი სახსრების დაზიანებაც, ამ დროს „ჰებერდენისა და ბუშარის“ კვანძები ვითარდება.

***— როგორია დაავადების მკურნალობა?***

— მკურნალობის მეთოდები განსხვავებულია დაავადების გენეზის მიხედვით. საჭიროა დიფერენციალური დიაგნოზის გატარება, რომ შემდეგ დაინიშნოს სწორი მკურნალობა.

გარდა მედიკამენტოზური თერაპიისა, არსებობს სხვა დამხმარე მეთოდებიც: ფიზიოთერაპია, ნატუროპათია, სახსარშიდა მანიპულაციები, ქირურგიული ჩარევა.

***— ბავშვობაში უფროსებისგან ხშირად გამიგია, რეზინის ფეხსაცმელს ნუ იცვამ, რევმატიზმი დაგემართებაო. ეს სიმართლეა?***

— ეს არ არის გამომწვევი მიზეზი, თუმცა შეიძლება გადაციებამ, „სინესტემ“ ხელი შეუწყოს ამ დაავადების პროვოცირებას, თორემ, „ბოტებმა“ რომ რევმატიზმი დაგვმართოს, ეს მითია.

***— დაავადება ქრონიკულია?***

— რევმატული დაავადებების უმრავლესობა ქრონიკული მიმდინარეობით ხასიათდება, პერიოდული გამწვავებებით, თუმცა შესაძლებელია ხანგრძლივი რემისიის მიღებაც. ეს არის ჩვენი მიზანი, ამიტომაც პაციენტი საჭიროებს რევმატოლოგის მუდმივ მეთვალყურეობასა და მკურნალობის სწორ დაგეგმვას.

***— ეს დაავადება სეზონურია?***

— დიახ, ამ დაავადებების გამწვავების პერიოდებია გაზაფხული და შემოდგომა.

***— შესაძლებელია თუ არა პროფილაქტიკა?***

— ართროზის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრების ჯანსაღ წესს, დაკავებულია თუ არა სპორტით, იკვებება თუ არა სრულფასოვნად. ამ შემთხვევაში დაავადება უფრო ნელა პროგრესირებს, ვიდრე ზედმეტი დატვირთვის, ჭარბი წონის, მწეველობის ან უმოძრაობის შემთხვევაში.

***— დაავადება გენეტიკურია?***

— ყველა შემთხვევაში გენეტიკური წინასწარგანწყობა არსებობს — „რევმატიზმის“, ოსტეოართროზისა და სხვა ტიპის ართრიტების დროსაც. აღმოჩენილა გენეტიკური მარკერები, რომელიც ადასტურებს იმას, რომ წინასწარ განწყობა არსებობს. თუკი არ მოხდა პროვოცირება, შესაძლოა, ადამიანი არც დაავადდეს, თუმცა, რაც შეეხება ართროზს, ის ყველა ადამიანში იწყება 35-40 წლიდან და პროგრესირებს ასაკთან ერთად. თუკი წინასწარ განწყობაც არის, დაავადება უფრო სწრაფი პროგრესირებით ხასიათდება.

***— 35 წელზე უფრო დაბალ ასაკში შეიძლება განვითარდეს ეს დაავადება?***

— ახალგაზრდა ასაკში განვითარებული ართრიტი გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე გვაქვს აუტოიმუნურ პროცესთან. ეს არის აუტოიმუნური გენეზის ართრიტები — როგორიცაა რეაქტიული ართრიტი (გარკვეული ინტოქსიკაციის ან ინფექციების შედეგად განვითარებული), რევმატოიდული ართრიტი, ანთებითი სპონდილოართრიტები, თუკი ფსორიაზთან არის კავშირში, შესაძლებელია, საქმე გვქონდეს ფსორიაზულ ართრიტთან, პურინული ცვლის დარღვევის შედეგად ვითარდება პოდაგრული ართრიტი და ა.შ.

თუკი ართრიტი იწყება ახალგაზრდა ასაკში და ახასიათებს წვრილი სახსრების დაზიანება, მაშინ ეჭვი უნდა მივიტანოთ „რევმატოიდულ ართრიტზე“.

***— როგორია პირველი სიგნალი?***

— სახსრების, კუნთების ხანგრძლივი ტკივილი, შესიება, დეფორმაცია, დილის შებოჭილობა, რომელიც გრძელდება ნახევარ საათზე მეტხანს, მოძრაობის შეზღუდვა, სახსარზე შეხებით მტკივნეულობა, ტემპერატურის მომატება, ზოგადი სისუსტე, კანზე გამონაყარი — ამ შემთხვევაში საჭიროა ვიზიტი ექიმ-რევმატოლოგთან. რაც უფრო დროულად იქნება დასმული სწორი დიაგნოზი და დაიგეგმება მკურნალობა, მით უკეთესი იქნება დაავადების გამოსავალი.

***— გაუზიარეთ ყველაზე სასარგებლო რჩევები ჩვენს მკითხველს.***

— ართრიტებისა და ართროზების ძირითადი პროფილაქტიკაა ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა, ფიზიკური აქტივობა, ბალანსირებული კვება (ცილოვანი პროდუქტების, რძის ნაწარმის, წყლის საკმარისად მიღება), ხოლო პირველივე სასიგნალო სიმპტომის გამოვლენისთანავე საჭიროა სპეციალისტთან, ამ შემთხვევაში რევმატოლოგთან კონსულტაცია, გარკვეული ლაბორატორიული და ინსტრუმენტული კვლევის ჩატარება და დიაგნოზის დაზუსტება.

რევმატოლოგიურ დაავადებათა ნუსხაში 200-ზე მეტი დაავადება შედის, ამიტომ საჭიროა მოხდეს მათი დიფერენციაცია და მხოლოდ ამის შემდეგ დაიგეგმოს შესაბამისი მკურნალობა.

## კალეიდოსკოპი

### რუმინელმა ძაღლი გადაარჩინა



რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტის მცხოვრები დაეხმარა ძაღლს, რომელსაც კისერზე პლასტიკატის მილი ჰქონდა წამოცმული. მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ერთ-ერთმა გამოცემამ გაავრცელა.

ოვიდიუ როზუს თქმით, მან ძაღლი ქალაქის ქუჩაში ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ შენიშნა.

— აშკარაა, რომ ვიღაცამ, უბრალოდ, გართობის მიზნით მას კისერზე ჩამოაცვა ეს პლასტმასი, როდესაც ის ჯერ კიდევ ლეკვი იყო და ამით გაიზარდა, — განაცხადა რუმინელმა.

მამაკაცმა ცხოველი დააძინა, რის შემდეგაც „საყელური“ მოხსნა, ხოლო ძაღლი ერთ-ერთ ადგილობრივ ვეტერინარულ საავადმყოფოში მიიყვანა. ექიმების თქმით, პლასტმასი ძაღლს ყელზე აწვებოდა და ტრავმებს აყენებდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 6 თებერვლისთვის



**ვერძი** — ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზე ვერ გაქვთ. ალკოჰოლსა და ფიზიკურ დატვირთვას ერიდეთ. **კურო** — ეცადეთ, ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვაროთ. დღის მეორე ნახევარში ემოციები მოთოკეთ. **ტყუპები** — პლანეტები გმფარველობენ. იზრუნეთ ზნეობრიობაზე. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კირჩხიბი** — პირად ცხოვრებაში ერიდეთ დაუფიქრებელი ნაბიჯების გადადგმას. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **ლომი** — ემოციები აკონტროლეთ, რათა კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. სხვის საქმეებში ნუ ჩაერევით. **ქალწული** — წინააღმდეგობრივი დღეა, რომელიც თქვენგან დიდ სიბრძნესა და მოქნილობას მოითხოვს. სასიყვარულო ავანტიურებში ჩართვას არ გირჩევთ. **სასწორი** — ეცადეთ, ყოველგვარი გაურკვევლობა საჩქაროდ აღმოფხვრათ. წარსულის შეცდომებს ნუ გაიმეორებთ. **ღრიანკალი** — აქტიური დღეა. ბევრი საქმე გაქვთ. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა სასიკეთო შედეგს გამოიღებს. **მშვილდოსანი** — სიტუაციის თქვენ სასარგებლოდ შემობრუნებას მოახერხებთ. უფროსობა თქვენით კმაყოფილია. **თხის რქა** — რთული დღეა. წარმატება უშუალო კავშირშია საქმისადმი გონივრულ და მშვიდ მიდგომასთან. **მერწყული** — არანაირი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. ჭორებს ნუ აჰყვებით. **თევზები** — შექმნილი სიტუაციის მიხედვით სათანადო დასკვნები გააკეთეთ და ეცადეთ, შეცდომები საჩქაროდ გამოასწოროთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## გიორგი ქანთურია: „დაბრუნების შემდეგ უფრო ძლიერი ვიქნები“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

უფრო სწრაფად დავბრუნდე, ვიდრე ვარაუდობდნენ.

***— ფეხი როგორ გაქვს, ტკივილები კიდევ გაწუხებს?***

— ფეხი კარგად მაქვს და აღარც ტკივილს ვგრძნობ.

***— გუნდს როდის შეუერთდები?***

— გუნდს მხოლოდ მაშინ დავუბრუნდები, როდესაც 100%-ით მზად ვიქნები. არ მინდა გავრისკო, რადგან ქომაგის წინაშე პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მათთვის ხომ გოლები უნდა გავიტანო?!

***— ემოციური თვალსაზრისით, მძიმეა ფეხბურთის გარეშე ცხოვრება?***

— ამას სიტყვებით ვერ გადმოვცემ. ნამდვილად მძიმეა ცხოვრება ბურთისა და საფეხბურთო მოედნის გარეშე. თუმცა, ამის დაძლევაში ოჯახი და მეგობრები ძალიან მეხმარებიან. მწამს ღმერთის და მჯერა, რომ ძალიან მალე ყველაფერი უკეთესად იქნება.

***— როგორ გადაიტანე ის მომენტი, როდესაც დიაგნოზის შესახებ პირველად შეიტყვე და გააცნობიერე, რომ ხანგრძლივი მკურნალობა დაგჭირდებოდა?***

— როდესაც ტრავმა მივიღე, არ მეგონა, თუ ოპერაცია და 6-7-თვიანი უქმობა მომიწევდა. მაგრამ რას ვიზამთ, ასეთი სამუშაო მაქვს, ეს ფეხბურთია და სპორტში ასეთები ხდება. მე კი არც პირველი ვარ და არც — უკანასკნელი, ვისაც მსგავსი გადახდენია. ახლა სიტყვას ვაძლევ საკუთარ თავს, რომ დაბრუნების შემდეგ უფრო ძლიერი და ეფექტური ვიქნები, ვიდრე უწინ ვიყავი.

## სკანვორდი



1. უბანი თბილისში; 2. მწერალ არსენ მამულაიშვილის ფსევდონიმი; 3. ლიტვის ფულის ერთეული; 4. ბოლო ნოტი; 5. შაქარზე ტკბილი კრისტალები; 6. რუმინეთის ფულის ერთეული; 7. „რასაც დასთეს, იმას ...“; 8. ერთ-ერთი სახარების ავტორი; 9. ალაზნის შენაკადი; 10. გამომწვარი ფერადი თიხა; 11. მწერალი ... ლისაშვილი; 12. ... მატიე; 13. რესტორნის საჭმელ-სასმელის ნუსხა; 14. ინტუიცია; 15. ტაბლეტი; 16. სპორტულ შეჯიბრებაში დაწინაურებული; 17. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 18. ამერიკელი ფილოსოფოსი (1859-1952); 19. ვერცხლისწყლის ქლორიდი; 20. სპორტული ცურვის ხერხი; 21. სითხის გამოსახდელი ხელსაწყო; 22. ცრუ მოძრაობა ფეხბურთში; 23. ფილიპინების კუნძული; 24. ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის; 25. ქალაქი გერმანიაში; 26. რისამე შესრულების სისწრაფე; 27. ჯაშუში (ძვ.); 28. ეგვიპტელთა მზის ღმერთი; 29. შიშველი სხეულის გამოსახულება ხელოვნებაში; 30. ბილიარდის ჯოხი; 31. საბერძნეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 32. მოჭადრაკე ... ლარსენი; 33. თხის ჯოგი.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მოწამეთა; 2. ნარმა; 3. მაიონეზი; 4. კიტონი; 7. ჩხუტი; 9. ფრაყე; 12. ენერგეტიკა; 14. ჯულეპი; 15. აგევზია; 17. პატრული; 20. პორტო.

**თარაზულად:** 5. სოლოლაკი; 6. ათანელი; 8. ზამბახი; 10. მატეზერი; 11. მთვარე; 13. ტრიტონი; 16. ცელსიუსი; 18. ტაიგა; 19. შერპი; 21. პომპეი; 22. სიბარიტი; 23. პოპლიკა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. გუტი; 2. რანჩო; 3. ორგია; 4. ფლეში; 5. ემბაზი; 6. გოზინაყი; 8. ბრიჯსტოუნი; 10. ტრაფალგარი; 11. ვაშლოვანი; 14. ტაუერი; 15. რატილი; 16. ფანზა.

**თარაზულად:** 1. გაბროვო; 4. ფლემინგი; 7. ტვენი; 9. იახტა; 12. ჩიტაია; 13. გინზა; 14. ტრიუმი; 17. ხოჟუვი; 18. ანარქონიზმი; 19. ჰიბრიდი; 20. კაკაჩი.

# ცხინვალის თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია



ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო თეატრი უმძიმეს მდგომარეობაშია. საკუთარ სამშობლოში დევნილი თეატრი უკვე წლებია, ერთ-ერთ ყველაზე ავარიულ შენობაშია განთავსებული, სადაც სიტუაცია დღითიდღე მძიმდება.

თეატრის ხელმძღვანელობამ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა და კულტურის სამინისტროს თავიანთი პრობლემით კიდევ ერთხელ დაინტერესებისკენ მოუწოდა:

– ჩვენ გარშემო შექმნილი ურთულესი მდგომარეობა გვაიძულებს, გავასაჯაროოთ ის რეალობა, რომელიც შეგვექმნა ბოლო პერიოდში!.... ჩვენ არაერთხელ მივმართეთ და საქმის კურსში ჩავაყენეთ კულტურის სამინისტრო, თუ რა შეიძლება მომხდარიყო იმ ავარიული შენობის გარშემო, სადაც 20 წელიწადია, ვართ განთავსებული – ყოფილი რკინიგზელთა კულტურის ცენტრი და უკვე ყოფილი ეროვნულ-მუსიკალური ცენტრი.

რომ არ შეგაწყინოთ თავი, ავხსნით შემდეგნაირად – შენობა მთლიანად დაცარიელდა, გამოიშიგნა, გამოირთო ინტერნეტი, გამოირთო სათვალთვალო კამერები, გამოირთვება დენიც. დაცვა დარჩა ერთი ადამიანის ამარა!... იხსნება შლაგბაუმიც, ანუ გაპარტახებულ ავარიულ შენობაში ვრჩებით ჩვენ, დევნილი თეატრი!... 26 წლის განმავლობაში ნაგროვები და შექმნილი დეკორაციით, რეკვიზიტით, უამრავი თეატრალური კოსტიუმით, განათების, გახმოვანების, სხვადასხვა სახის აპარატურით. ორი კატითა და ოთხი კნუტით!..

# „პატარა გეორგიკა“ ოქროს დიპლომის მფლობელი გახდა



ანსამბლი „პატარა გეორგიკა“ ბერლინში გამართულ მეექვსე საერთაშორისო საგუნდო ფესტივალში მონაწილეობდა, სადაც გრანპრის ფინალისტი გახდა.

რატი ჯულაყიძისა და ნინო ქუმსიშვილის აღსაზრდელებმა ფესტივალზე შეასრულეს როგორც ქართული, ასევე უცხოური მუსიკალური ნომრები და დამსწრე საზოგადოების, ფესტივალის ორგანიზატორებისა და ჟიურის ხანგრძლივი აპლოდისმენტები და უწყვეტი ოვაციები დაიმსახურეს.

ბერლინის გუნდური მუსიკის VI საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე 30 ქვეყნის გუნდებს შორის „პატარა გეორგიკა“ მესამე საპრიზო ადგილის მფლობელი გახდა და ოქროს დიპლომიც დაიმსახურა.

გამარჯვება ანსამბლმა და მისმა გულშემატკივრებმა გერმანიის დედაქალაქ ბერლინის ფილარმონიაში ქართული დროშების ფრიალითა და მრავალჟამიერით აღნიშნეს.

„პატარა გეორგიკა“ თბილისის მეექვსე საავტორო სკოლის ანსამბლია, რომელსაც არაერთი საერთაშორისო წარმატება აქვს მოპოვებული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ ფესტივალებსა და კონკურსებში.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## პროგრამა

**ოთხშაბათი**
**6 თებერვალი**

07.00 დოკ/ფ "ლურჯი სამყაროს საოცრებნი" 08.00 ანიმაცია. "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**კედრის ყურე**" 12.30 "სპორტის დაფა" 12.45 "კაცების დრო" 13.45 "ტელემანი" 14.00 "გურმანია" 14.30 "სიტყვების თამაში" 15.00, 02.00 "x სტუდია" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00, 03.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 "მთავარი"- თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ "**მთავრობა**" 00.00 მხ/ფ "**ბრძოლა**"(ჩ.ტატუმი)

08.00 დ/ფ "შტაინერების ოჯახი" 09.00 დ/ფ "ისლანდია ყველაზე ახლოს ვულკანთან" 09.55 მხ/ფ "**მაკარტური**" (გ. პეკი) 12.00 ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.00, 18.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 21.30 "გამომძიებელი რეპორტიორი" 22.00 ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო" 01.00 მხ/ფ "**უკანასკნელი დაქორწინებული წყვილი ამერიკაში**"

06.30, 16.00 სერ. "**ელიფი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**გონული**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 5 სერ. 22.20 მხ/ფ "**ოპერაცია დელტა**" 00.45 მხ/ფ "**დროის ხაფანგი**" 02.55 მხ/ფ "**ავტობუსი 657**" 04.25 მხ/ფ "**სიკვდილის ორდერი**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45, 20.10 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" 15.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.50, 20.03 სერ. "**ოქროს გალია**" 22.00 ქ.მხ/ფ "**ძმა**" 00.00 სერ. "**დროში დაკარგული**"

08.00 ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" 09.00, 19.00 სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" 11.00 სერ. "**მშობლები**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 18.00 სერ. "**სკანდალი**" 21.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 22.00 სერ. "**მოტივი**" 23.00 სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" 00.00 მხ/ფ "**მოსამსახურე**" 02.35 მხ/ფ "**მწვანე ბარათი**" 04.35 მხ/ფ "**დიდი ნახტომი**" 06.15 მხ/ფ "**ქორწილის მომღერალი**"

06.15 ღვთის სახლი 06.35 პატერიკი-რა არის ბედნიერება 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ/ფ "**თემო**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "დაღესტნური ჭედურობა" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ან/ფ 15.30 დ/ფ "სვეტიცხოველი" 15.40 სპექტაკლი "ვალსი ძილის წინ" 18.05 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.30 ბიბლია ბავშვებისათვის 19.40 საქართველო ევროპულ ოჯახში 20.40 ძილი ნებისა "ასფურცელა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 პატერიკი-გლახაკთ მოყვარე წმინდა გრიგოლ დიოლოღოსი 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.20 დ/ფ "თოვლიანი კოშკები-სვანეთი" 22.35 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ღვთის სახლი "სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი" 01.00 სათავეებთან "აკაკი წერეთელი" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.30 ანიმაცია "მაშა და დათვი" 7.50 "ქვიშის ზღაპარი" 8.00 სერ. "**კარმელიტა**" 10.00, 2.00 სერ. "**ორი გული**" 11.00 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.30 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" 14.30, 15.30 სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 16.00 სერ. "**მარისა**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.45 სერ. "**მორიგე ექიმი**" 19.50 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "**მიცანი თუ შეძლებ**" 21.55 სერ. "**პაემანი**" 22.45 სერ. "**მახე**" 1.30 "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

## კალეიდოსკოპი

# ავსტრალიაში კენგურუ ველოსიპედისტს გადაახტა



ავსტრალიაში მცხოვრებმა ბრიტანელმა პიტერ ჯეიმს რობერტსმა მოახერხა ვიდეოზე აღებეჭდა, თუ როგორ გადაახტა კენგურუ თავზე ველოსიპედისტს.

მამაკაცი ნაცნობებთან ერთად ველოსიპედებით სასეირნოდ გაემგზავრა. საბარგულზე დამაგრებული ვიდეოკამერა იღებდა მის უკან მომავალ ქალაქ ადელაიდაში მცხოვრებ მაიკლ ბლანდს.

მოულოდნელად ბუჩქებიდან გამოვარდა კენგურუ, ველოსიპედისტს თავზე გადაახტა და გზის მეორე მხარეს გაიქცა. ბლანდმა თავის დახრა მოასწრო, თუმცა არ შეჩერებულა და მოძრაობა გააგრძელა.

რობერტსმა უიშვიათესი მოვლენის ამსახველი ვიდეოჩანაწერი ფეისბუქში განათავსა და იქვე აღნიშნა, რომ ბლანდს, მისი იღბლიანობიდან გამომდინარე, ლატარიის ბილეთის ყიდვა არ აწყენდა.

# ბრიტანელებმა პოეტის დაბადების დღე ცხვრის კუჭის სროლით აღნიშნეს



დიდ ბრიტანეთში გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი ტრადიციული შოტლანდიური კერძის ჰაგისის სროლაში. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

შეჯიბრება ცნობილი შოტლანდიელი პოეტის რობერტ ბერნსის დაბადების დღეს მიეძღვნა, რომელმაც XVIII საუკუნეში ჰაგისს ოდა მიუძღვნა. შეჯიბრება პოეტის სახლ-მუზეუმის მახლობლად, ელისლენდის ფერმაში გაიმართა.

ჩემპიონატში გამარჯვებისთვის მის მონაწილეს კერძი რაც შეიძლება შორს და ზუსტად უნდა ესროლა, ამასთან, ისე, რომ არ დაშლილიყო, ვინაიდან ძირს დაცემული ჰაგისი უნდა შეიჭამოს.

შეჯიბრებაში 83 ადამიანი მონაწილეობდა. ყველაზე უმცროსი ოთხი წლის იყო, ხოლო უფროსი – 75 წლის. გამარჯვებულმა ჰაგისის გადაგდება დაახლოებით 44 მეტრზე შეძლო.

ეს შედეგი ჩამორჩება რეკორდულ მაჩვენებელს, რომელიც 2011 წელს დაფიქსირდა. მაშინ ჩემპიონატის ერთ-ერთმა მონაწილემ ჰაგისის 66 მეტრზე გადაგდება მოახერხა.

ჰაგისი ცხვრის შიგნეულისგან (გული, ღვიძლი და ფილტვები) მზადდება, რომლებიც ცხვრის კუჭშია მოხარშული. მას ბურთის ფორმა აქვს.

# აშშ-ში ბოისკაუტებში ტრანსგენდერებსაც მიიღებენ



აშშ-ის ბოისკაუტების ორგანიზაციამ გამოაცხადა, რომ თავის რიგებში ტრანსგენდერებსაც მიიღებს. ამ ინფორმაციას ვაშინგტონ პოსტი აქვეყნებს.

„ამერიკის ბოისკაუტების“ აღმასრულებელ დირექტორ მაიკლ სერბოუს თქმით, ამიერიდან ბიჭები საზოგადოებაში დარეგისტრირდებიან იმ სქესით, რომელსაც გაწევრიანების საბუთებში მათი მშობლები მიუთითებენ და არა დაბადების მოწმობის შესაბამისად.

– შტატის კანონებმა (ორგანიზაციის მთავარი ოფისი ტეხასში მდებარეობს) და საზოგადოებამ გენდერული იდენტურობის საკითხის მიმართ საკუთარი დამოკიდებულება შეცვალეს, – განაცხადა მაიკლ სერბოუმ.

2013 წელს ახალგაზრდულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა, საკუთარ რიგებში გეებიც გაეწევრიანებინა, თუმცა, იმავდროულად, მოზრდილ ჰომოსექსუალისტებს ორგანიზაციაში მუშაობა ეკრძალებოდათ, 2015 წელს კი გავრცელდა ინფორმაცია ამ შეზღუდვის მოხსნის თაობაზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# კანადურმა ოჯახმა ექვსმეტრიანი თოვლის კაცი შექმნა

კანადელმა ჯოშუა დიუეკმა და მისმა ოჯახმა ააგო თოვლის კაცი, რომლის სიმაღლემ ექვს მეტრს გადააჭარბა. მისი აგების სამკვირიანი პროცესი ოჯახის უფროსმა ვიდეოზე აღბეჭდა.

ჯერ შეიკრა ჩარჩო, რომლის ცენტრში ფართო მილი იყო განთავსებული. მის გარშემო აღმართეს ფიგურა, რომელიც ამოავსეს თოვლით და ამისთვის ხორბლის ტრანსპორტიორი გამოიყენეს.

– თოვლის კაცის შიგნით სიცარიელეა და ამის შედეგად შეგიძლიათ, მის შიგნით შეხვიდეთ, ზევით აძვრეთ და მისი პირის ჭრილიდან გარემო დაათვალიეროთ, – განაცხადა დიუეკმა.

# ავსტრალიაში მაისურიან დელფინს ეძებენ



დასავლეთ ავსტრალიის პარკებისა და ცოცხალი ბუნების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა მაისურიანი დელფინის ძებნა დაიწყეს, რომელიც კუმბანის ყურეში შენიშნეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ავსტრალიური ტელეკომპანია ავრცელებს.

მაისურში გამოწყობილი დელფინი ქალაქ ბანბერში ავსტრალიის დღის აღნიშვნის დროს შენიშნეს. ქსოვილს ზღვის ცხოველის სხეულის ნაწილი ჰქონდა დაფარული, მათ შორის მისი ზურგის ფარფლიც.

ფოტოსურათებით დასავლეთ ავსტრალიის პარკებისა და ცოცხალი ბუნების დეპარტამენტი დაინტერესდა. სამსახურმა შეტყობინება მომხდარზე ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. სპეციალისტების აზრით, დელფინი, თუ ქსოვილი მის სასუნთქ გზას დაფარავს, შესაძლოა, დაიღუპოს.

დეპარტამენტის ხელმძღვანელი პია კორტისი მიიჩნევს, რომ მაისურიან დელფინს ყურეში შემთხვევით არ შემოუცურია. სავარაუდოდ, ცხოველს ქსოვილი ვიღაცამ განზრახ გადააცვა. თუ ეს მართლაც ასეა, ხულიგანს ოთხი ათასი ავსტრალიური დოლარით დაჯარიმება ემუქრება.

# ობამა კარიბის კუნძულზე ისვენებს



აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი მეუღლე მიშელი მილიარდერთან, ვირჯინ გრუფის მფლობელ რეჩარდ ბრენსონთან ერთად ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე ისვენებენ.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ობამების წყვილი ბრიტანელი მილიარდერის კუთვნილ კუნძულ ნეკერზე ერთი კვირის წინ ჩაფრინდა. ერთ-ერთი გამოცემის მიერ მოპოვებულ სურათებზე თეთრი სახლის ყოფილი ხელმძღვანელი ბეისბოლის ქუდსა და შავ სათვალეშია აღბეჭდილი. როგორც გამოცემა აღნიშნავს, არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ მას სურს დაბრუნება აშშ-ში, რომელიც ქვეყნის ახალი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის მიერ საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრებასთან დაკავშირებით გამოცემული ბრძანებულების გამო საპროტესტო გამოსვლების ტალღამ მოიცვა.

აღსანიშნავია, რომ ობამამ 31 იანვარს საკუთარი მხარდაჭერა გამოხატა ამჟამინდელი პრეზიდენტის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო გამოსვლების მიმართ, რომ ისინი ამით საკუთარი კონსტიტუციური უფლებების რეალიზებას ახდენენ. ყოფილმა პრეზიდენტმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტრამპის გადაწყვეტილება მიგრაციის შეზღუდვაზე, კერძოდ, ლტოლვილთა მიღებაზე უარის თქმა ამერიკული ფასეულობებისთვის საფრთხის შემცველია.

# უპილოტო აპარატმა გადაიღო ნიანგი, რომელსაც ღორი ჰყავდა დაჭერილი



იუთუბის ერთ-ერთმა მომხმარებელმა მოახერხა, ვიდეოზე დაეფიქსირებინა დიდი ზომის ნიანგი, რომელიც პაპუა-გვინეის ნაპირის გასწვრივ მიცურავდა და პირით ღორი ეჭირა.

იმისთვის, რომ მტაცებელი უსაფრთხო მანძილიდან გადაეღო, ვიდეოს ავტორმა კვადროკოპტერი გამოიყენა.

– როდესაც ნიანგი მშიერია, ის, ჩვეულებრივ, ახლომდებარე სოფლიდან ღორებს ან ძაღლებს იტაცებს, – განუცხადა ერთ-ერთ ბრიტანულ გამოცემას ვიდეოს ავტორმა, – გამიმართლა რომ შევესწარი მომენტს, როდესაც მან ღორი გაიტაცა.

# უცნობმა პირებმა ბრიტანეთის დედოფლის გედებს ესროლეს



უცნობებმა დიდი ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის გედებს მდინარე თემზაზე, ქალაქ უნძორში მონარქის რეზიდენციასთან ესროლეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

ამ შემთხვევის შედეგად 12 ფრინველი დაშავდა. ვეტერინარები იძულებულნი გახდნენ, დაეძინებინათ ორი გედი, რომლებსაც განსაკუთრებულად მძიმე ჭრილობები აღმოაჩნდათ. ბოროტმოქმედები პნევმატური იარაღითა და შურდულით იყვნენ აღჭურვილნი. ისინი გედებს თავსა და კისერში უმიზნებდნენ.

პირველი თავდასხმის მსხვერპლი ოთხი ფრინველი გახდა. საკისარის ბურთულამ ახალგაზრდა გედს თავის ქალა ჩაუმსხვრია, დანარჩენებმა თვალები დაკარგეს. პირველი თავდასხმიდან ოთხი დღის შემდეგ თავდასხმა გამეორდა. დაშავებული გედები ვეტერინარულ კლინიკაში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ერთ-ერთი მათგანის გადარჩენა ვერ მოახერხეს.

პოლიცია და ადგილობრივი მცხოვრებლები დამნაშავეებს ეძებენ. თემზის ნაპირზე, უინძორის ციხე-სიმაგრის მახლობლად განთავსებულია პოლიციური ოპერაციის მიმდინარეობის თაობაზე გაფრთხილების შემცველი ფირნიშები.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**6 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6816

ევრო — 2.8806

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3493

100 რუსული რუბლი — 4.5118

## ამინდის პროგნოზი 6 თებერვლისთვის





## 7 თებერვლიდან
### მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები




სტენდალი
# წითელი და შავი
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

## 1 თებერვლიდან

# საქართველოს გეოგრაფიული ატლასი




ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

## 3 თებერვლიდან




# პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქმე

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი


## იუმორი



●●●

ტიპი აფთიაქში შედის და გამყიდველს ეუბნება:

– უკაცრავად, თუ შეიძლება, წითელი პრეზერვატივი მომეცით.

– იცით, წითელი არ გვაქვს და შავი რომ იყოს?

– არა, შავი არ მინდა, ახდუნებს...

●●●

ოსი თავის მოსაკლავად ბოსელში შევა, ამ დროს მეზობელი დაინახავს და ეკითხება:

– რას შვრები, კაცო?

– თავს ვიკლავ, სენი წილიმე.

– მერე, ფეხებით რომ ჩამოკიდულხარ, მასე თავის მოკვლა სად გაგონილა, ბაწარში თავი უნდა გაყო.

– ვცადე, მალა სული მეხუთება.

●●●

მეზობელი მამაკაცი მეზობელ ქალს ეკითხება:

– ქალბატონო აგრაფინა, ლიფი არ გაცვიათ?

– როგორ მიხვდით?

– სახე გაქვთ გადატკეცილი...

●●●

კაცი ქალს ეუბნება:

– მშვენიერო ქალბატონო, გიყურებთ და ვხვდები, რომ აუღებელ ციხესიმაგრესთან მაქვს საქმე...

– ოო, ეგ იმაზეა დამოკიდებული, რომელი კალიბრის იარაღით აპირებთ შეტევაზე გადმოსვლას...

●●●

აფთიაქში შესული კაცი გამყიდველს ეკითხება:

– ოყნა გაქვთ?

– არა.

– მაშინ, ოცი ცალი პიპეტკა მომეცით!

●●●

შვილი მამას ეუბნება:

– მამა, ამ საღამოს შენი მანქანა მათხოვე, რა?

– რად გინდა?

– მე და ჩემს მეგობარ გოგონას გვჭირდება.

– წაიყვანე, მხოლოდ ბენზინი არ ასხია.

– არც გვჭირდება.

●●●

ერთი დიდი გამოცდილების მქონე ფსიქიატრი მეორეს ეუბნება:

– დამიჯერე, კოლეგა, არ არსებობენ ჯანმრთელი ადამიანები, არსებობენ გამოუკვლევი ადამიანები!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.







## 2 თებერვლიდან

# ძმები გრიმები
# რაპუნცელი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 8 თებერვლიდან

# ქართლის ცხოვრება
მე-3 ტომი




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


# გიორგი ჭანტურია: „დაბრუნების შემდეგ უფრო ძლიერი ვიქნები“



საქართველოს ნაკრებისა და ეკატერინბურგის ურალის ნახევარმცველი **გიორგი ჭანტურია** ტრავმის გამო დიდი ხანია უქმობს. გიორგიმ ტრავმა გასულ წელს მოსკოვის ლოკომოტივთან სტუმრად გამართულ შეხვედრაში მიიღო. ქართველ ფეხბურთელს მუხლის მყესებზე ოპერაცია ჩაუტარდა.

ექიმების მაშინდელი პროგნოზით, ჭანტურიას რეაბილიტაციისთვის ნახევარი წელი დასჭირდებოდა. თუმცა, ურალის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუში გიორგი აცხადებს, რომ გამოჯანმრთელების პროცესი ძალიან კარგად მიმდინარეობს.

***– როგორ გრძნობ თავს ოპერაციის შემდეგ?***

– პროცესი ძალიან კარგად მიმდინარეობს. ექიმმა და ფიზიოთერაპევტმა მითხრეს კიდეც, რომ ოპერაციიდან 8 კვირის შემდეგ მუხლი სტაბილურადაა. ასე რომ, უკვე შემიძლია სირბილი და სიმძიმეებით ზოგიერთი რთული სავარჯიშოს შესრულება. ყოველდღე 6-7 საათს სატრენაჟორო დარბაზში ვატარებ, რათა

**გაგრძელება მე-10 გვერდზე**

# საქართველომ ფინეთს დრამატულ ბრძოლაში მოუგო



3-5 თებერვალს თბილისის ოლიმპიურ სასახლეში დევისის თასის ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მატჩი გაიმართა საქართველოსა და ფინეთს შორის.

3 თებერვალს საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ეერო ვაასას 3:1 მოუგო, ხოლო გიორგი ცივაძე ჰელიოვაარასთან დამარცხდა – 0:3.

პირველი დღის შემდეგ საერთო ანგარიში 1:1 იყო.

მეორე დღეს, 4 თებერვალს, წყვილთა შეხვედრა გაიმართა.

ტრადიციულად, წყვილების პაექრობა გადამწყვეტია თანაბარი მეტოქეების მატჩში და მისი გამარჯვებული, ჩვეულებრივ, მატჩსაც იგებს.

4 თებერვალს საქართველო ფინეთთან უშანსოდ, 3 სეტში დამარცხდა. ნიკოლოზ ბასილაშვილისა და გიორგი ცივაძის წყვილმა ჰარი ჰელიოვაარასა და ემილ რუუსუვუორის ვერაფერი დაუპირისპირა – 0:3 (4:6, 0:6, 3:6).

საერთო ანგარიში სტუმართა სასარგებლოდ 2:1 გახდა და თითქოს ყველაფერი დასრულდა, მაგრამ გუშინ, 5 თებერვალს, ქართველმა ჩოგბურთელებმა პატარა სასწაული მოახდინეს.

თავდაპირველად კორტზე ნიკოლოზ ბასილაშვილი და ემილ რუუსუვუორი გავიდნენ. ბასილაშვილმა მეტოქეს 3 სეტში ანგარიშით 6:2, 6:4, 6:4 სძლია, რის შედეგადაც საერთო ანგარიში 2:2 გახდა.

გადამწყვეტი გამოდგა გიორგი ცივაძისა და პატრიკ ნიკლას-სალმინენის შეხვედრა.

პირველი 2 სეტი ქართველმა მოიგო და საერთო გამარჯვებასაც ძალიან მიუახლოვდა, მაგრამ შემდეგ 2 სეტში უკვე ფინელმა იმარჯვა.

საჭირო გახდა მეხუთე სეტის გამართვაც, რომელიც თავიდან სალმინენის უპირატესობით წარიმართა. ფინელი 5:2-საც კი იგებდა, მაგრამ ცივაძემ, პრაქტიკულად, შეუძლებელი მოახერხა, მოიგო მეტოქის მოწოდება და 6:6-მდე მივიდა.

ტაიბრეიკი ასევე ძალიან დაძაბულად წარიმართა და ცივაძის გამარჯვებით დასრულდა – 7:5.

საბოლოოდ ცივაძემ 3:2 მოუგო სალმინენს და მატჩის საბოლოო ანგარიშიც გააფორმა – 3:2 საქართველოს სასარგებლოდ.

ქართველი ჩოგბურთელები ევროაფრიკულ პირველ ზონაში გადასასვლელად ლიტვის ნაკრებს შეხვდებიან.

# კროსვორდი

**თარაზულად:** 6. ერთგვარი წითელი ღვინო; 7. სტადიონი ბრაზილიის ქალაქ ფორტალეზაში; 8. ოთახის ჯიშის ძაღლი; 10. ლუთერანული ეკლესია; 11. ბერნარდ შოუს პიესა; 13. ორატორის გამოსვლის ბოლო ნაწილი; 16. ბოსტნეული მცენარე მკრთალი მწვანე ფოთლებით; 19. ფესვის ამოღების ნიშანი (მათემ.); 20. პრესა, რადიო, ტელევიზია.

**შვეულად:** 1. ლითონზე გრავირებისათვის საჭირო ხელსაწყო; 2. ქვის ფილა წარწერით ან რელიეფური გამოსახულებით; 3. გოგრის სახეობა; 4. მინასავით ან სადაფივით მბზინვარე მინერალი; 5. დეკორატიული მცენარე მსხვილი, ლამაზი ყვავილედით; 9. ცოლისდის ქმარი; 12. ჯარისკაცების მწკრივში დაწყობა სიმაღლის მიხედვით; 14. ცხიმოვანა; 15. „მოხუცი და ...“; 17. მხედველობის ორგანო; 18. ჭაბუკი, ახალგაზრდა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი